



ილორი




№ 53 (114) 9 თებერვალი 2010 წლის 9 თებერვალი "სამეგრელოს" ტრანსი 50 თეთრი

**მუვიდობით,
კველი უკრაინავ,
გაგიმარჯოს,
ასალო!**

2

**ლავრენტი
ბერია —
ქართული
გენია**



4

გაზეთი "ილორი" უძველესი რუსიკის "საუბრის" საუბრის კლუბი



"კოლო-კოლო" სანტიაგო, ჩილი 12

**აღთქმული შინა —
სულგაყიდულთათვის**


არ

არსებობს!

დავით შოთაძე,
კობლენცი, გერმანია 5-7

ნიჟარაკეების

**ქორა
მასხვი**



8



9

ამ წიგნის ავტორი, კორნელი ბორჯინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შედეგების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბორჯინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.



7

**სამართვლოს
საკითხი
პარიზის
კონფერენციაზე**

თემურ ქორიძე

მშვიდობით, კვალ უკრაინაზე, გაგიმარჯოს, ასალო!

არც თუ სასაცილო ფელეტონი

ძლივს ვეღირსეთ ნორმალურ არჩევნებს, მაგრამ, ჯერჯერობით, არა საქართველოში. ჭეშმარიტ უკრაინელებს, ჩვენს ნამდვილ მეგობრებს, მოსწონდათ ვირტუალურ რევოლუციურ სამყაროში რამდენიმე წლიანი ძალდატანებითი ცხოვრება და საკუთარი არჩევანი გააკეთეს – გაუყალბებელი და და უკრაინელი ხალხის ნების ამსახველი, რომელიც ქართველ ხალხს დიდი ხნით აღუკვეთა შევარდნაძე-უვანია-საკაშვილ-ბურჯანაძის პოლიტიკურმა ხროვამ. უკვე მეოცე წელია ქართველ ხალხს თავის ნებაზე დაატარებენ ეს მოპალადებები, მაგრამ უკრაინული არჩევნების სიხალასემ იმის დრმა რწმენა ჩაუნერგა ქართველ ხალხს, რომ ჩვენც მალე მოვისვრით კისრიდან მოძალადე გამყალბებელთა მიძიმე უღელს და საქართველოსაც დაუდგება ის სადარი დღეები, როცა ერთი საკუთარი ნებით მიიღებს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და თავად აირჩევს საკუთარ მომავალს. როგორც იტყვიან: ეს ერთი და სხვა მრავალი!

დიდ მოძმე უკრაინელ ერს კი გვინდა მივულოცოთ საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენა, არჩევნების გაუყალბებლად ჩატარება და მათ მიერ გაკეთებული ჭეშმარიტად ბრძნული არჩევანი და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ!

მაშ ასე, ხელის დაქნევითა და თვალზე ცრემლით (ხელისუფლებისათვის, შესაძლოა – “ნიანგის ცრემლით”) ვემშვიდობებით იმ ავსულებსაგან განთავისუფლებულ უკრაინას, სადაც არჩევნების გასაყალბებლად ჩვენმა ხელისუფლებამ სამი ათასამდე კუნთმავარი და შუბლდაკოურილი (ოღონდ – ძარღვდაწვეტილი) “მებრძოლი სულისკეთების” მქონე “ვაჟაკი” მიავლინა (ნორმალურ საარჩევნო პროცესს რომ კუნთმავარი ბიჭები და გაწვევამოწვევა არ სჭირდება, ეს ვერა და ვერ შეივროს ჯერ შევარდნამამ და შემდეგ მის მიერ პრეზიდენტად დასმულმა სააკაშვილმა). მთელი ამ საარჩევნო ავანტიურის სამწუხარო შედეგმა კი ის ანეკდოტი გამახსენა, რაგინს ერთმა სოფელმა მეზობელ სოფელში ფეხბურთის სათამაშოდ ორასკაციანი სპორტული დელეგაცია რომ მიავლინა.

– რა ქნით, ბოშო, რაფერ ითამაშეთ? – კეთისხება კოლმურნობის თაგმჯდომარე უკან დაბრუნებულ დელეგაციის წევრებს.
– ქვე, თხუთმეტით ნული წავაგეთ... – უპასუხეს დარცხვენილმა “დელეგატებმა”.
– ასე უღმერთოდ რაფერ წავაგეთ, თქვე კაი ხალხო, ორასი კაცი მაინც არ წასულეთაგეთ! – აფეთქდა თაგმჯდომარე.
– რა გვექნა, ბატონო, ქვე თერთმეტი კაცის მეტი არ გვთამაშებს...

ზუსტად ასე მოხდა უკრაინაშიც. როგორც იტყვიან, საქართველოს სომხურმა ხელისუფლებამ უკრაინელი სომხები იუღია ტიმოშენკოს (თუ რატომ – სომხები, ამას ქვემოთ ავხსენით) გადასარჩენად “ჯგეროსანთა” დიდი ლაშქარი დაძრა, მაგრამ, მოგუპამა ჭირი ამ “ხალხმრავალმა” ღონისძიებამ. ჩვენ არც ის გავგოცდებოდა, რომ თბილისელ სომხებს ჩვეული სიყალბის მოშველიებით, ასევე ჩვეული თავხედობით გადაწყვეტათ კიეველი სომხისათვის დამხარების გაწევა, მაგრამ... იმ რატკვლებსაც არ იყოს, უკრაინაში ჩასული სამი ათასი ქართველიდან სულ რამდენიმე კაცი “ათამაშეს” საარჩევნო მოედანზე, დანარჩენებს კი, ზოგს ცხვირი

პირი დაუსიეს არაკორექტული საქციელისა და “არასაარჩევნო” გამოხატობებისათვის, ზოგს კი, საერთოდ არ შეაყოფინეს ცხვირი უკრაინაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ საარჩევნო ვაკანანაში ქართველ გამყალბებელთა “ბელადებმა” უკრაინის სასამართლოსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის კარის ზღურბლი ერთნაირი მონდომებით აატალახინანეს.

სირცხვილი და თავის მოჭრა, სწორედ ეს არის, მაგრამ, სააკაშვილსა და თარგამაძე-მერაბიშვილებს ცდა არ დაუკლიათ და არც ქურდებთან ურთიერთობა უთაკილეობათ, ოღონდ უკრაინის პრეზიდენტად ის იუღია ტიმოშენკო გაეყვანათ, რომელიც უკრაინაში ღამის ტრადიციად ქველ დასავლურ სიმბახინჯებს კვლავაც განავითარებდა და მათ ბიზნესინტერესებსაც უპატრონებდა. მაგრამ, როგორც კი შეატყეს, რომ უკრაინაში საქმე კარგად ვერ მიდიოდა, სააკაშვილი წამსვე ტალინში ჩაფრინდა, რითაც ქართულ მასშედიას სერიოზული ვკვი გაუწინა იმის თაობაზე, რომ ქართული სახელმწიფო კრიმინალიტეტი ასედა უკრაინიდან ესტონეთში ცდილობს საკუთარი დანაშაულებრივი ბიზნესის გადარჩენას.

მოკლედ, ყველას თავისი საზრუნავი აქვს – ვის ნაქურდალ-ნაოხრალი ქონების შერჩენა, ვის კი საქართველოს შეზღავებული ავტორიტეტის გადარჩენა.

სწორედ ამიტომ, ქართველი ხალხისათვის რომ მოსალოდნელი სირცხვილი აცვილებინათ, ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა წერილი გაუზახვა უკრაინელებს იმის მობოდიშებით, რომ ქართველ დამკვირვებელთა დიდი ნაწილი საქართველოს ძალოვანი უწყვეტის ოფიციალური თანამშრომელი იყო, მეორე ნაწილი კი ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურების მაღალი თანამდებობის პირები, რაზედაც პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას უნდა დაეკისროს და არა ქართველ ხალხს. წერილი ნათქვამია, რომ “არცერთ ქვეყანას არა აქვს უფლება, ისარგებლოს “დამკვირვებლის” სტატუსით და ჩაერიოს მეზობელი სახელმწიფოს შინაურ საქმესა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მითუმეტეს – არჩევნებში. უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები კი, პირველ რიგში, უკრაინელი ხალხის საქმეა და შეზღვევა – დამკვირვებლების, რომელ ქვეყანასა და ორგანიზაციასაც უნდა წარმოადგენდნენ ისინი”. მართლაც სამწუხაროა, რომ საქართველოდან წარგზავნილი დამკვირვებლების უხეშმა ქმედებებმა უკრაინის სხვადასხვა ქალაქებსა და საარჩევნო უბნებში სერიოზული უხერხულობა და პრობლემები შეუქმნა თითოეულ ამომრჩეველს, რაც უკრაინელი ხალხის გაღიზიანების მიზეზად იქცა.

უკრაინელი არჩევანი იმას ნიშნავს, რომ მათ საბოლოოდ აქციეს ზურგი ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლის გამანადგურებელ გავენახაზე სხვადასხვა კულტურებს ჯერ კიდევ თორმეტი წლის წინათ აფროთხილებდა საზოგადოებას ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი ალმქსანდრე ჰაჰია თავის ერთ-ერთ საგახეთო ინტერვიუში სათაურით: “არ ვეთანხმები პრეზიდენტისა და “რეფორმატორთა” პოზიციას”.

“...ამერიკელებისთვის გაუგებარია, რაში სჭირდება ქართველს პასპორტი იმის ჩაწერა, რომ იგი ქართველია. ყველაფერი ეს ამერიკაში არ არის, მაშ რა უნდათ ქართველებს? მოკვამირის ახალგაზრდული ფრთა წარმოადგენს იმ ამერიკანიზირებული მასობრივი იდეოლოგიური შტამის პრიმიტიული მატარებელს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართველი ხალხის პატრიარქალურ ყაიდასთან, ტრადიციულობასა და ეროვნულ თვითმყოფადობასთან. ამიტომ ისინი შეეცდებიან მიზანმიმართულად და მეთოდურად ანგრიონ ეს თვითმყოფადობა მანამ, სანამ არ მიადწევნ ქართული საზოგადოების დასავლურ უნიფიცირებულ მდედთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს კი იმას

ნიშნავს, რომ ქართველი ადარ უნდა იყოს ქართველი, შესაბამისად საქართველო ადარ უნდა იყოს საქართველო. ვიქნებით ჯორჯია-2...
...გლობალიზაციის განხორციელებას ადოღუ ჰიტლერიც შეეცადა. მისი პროექტი ერთი, გერმანელი ერის ბატონობას ეფუძნებოდა, ხოლო სხვა ერებისათვის თვითმყოფადობისა და პროგრესული განვითარების საჭიროებას უარყოფდა. როგორც ხედავთ, ახლანდელი ამერიკული პროექტი ჰიტლერისეული თუ ადრინდელი ბოლშევიკური პროექტისაგან პრინციპულად არ განსხვავდება: ერებისა და ეროვნული ინტერესების იგივე უზღვევლევყოფა, იგივე მსოფლიო მთავრობა, იგივე მსოფლიო ბატონობა. სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ჰიტლერი სხვა ერებს იარადილთ ანადგურებდა, თანამედროვე გლობალისტები კი – ეკონომიკურად, ინფორმაციულად, ზნეობრივად, თანაც, ეროვნულ სახელმწიფოებში არსებულ “მეზოეთე კოლონებს” დაყრდნობით. ეს პროექტიც ისევე დამთავრდება, როგორც წინა პროექტები, შესაძლოა, უფრო დიდი მსხვერპლით...”
მოკლედ, უკრაინის სათავეში სომეხი ეროვნების იუღია ტიმოშენკოს გაყვანის კიდევ ერთმა სომხურმა პროექტმა სრული ფიასკო განიცადა. ამოდ დაშრენ ამერიკული სომხური ლობი და იქაური სომეხი მილიონერები. საქართველოში, მათ, ელჯარს შევარდნაძის სისხარბის წყალობით კი მოახერხეს სომეხი სააკაშვილის პრეზიდენტად დასმა, მაგრამ უკრაინელი ხალხი ჩვენზე ჭკვიანი და პრინციპული აღმონდა და გახვრეტელ შაურიანში ჩახხედა ამერიკელ “ცავატანებს”. თუმცა, აქაც იხინა თავი ქართულმა წინდაუხედლობამ (შეიძლება ვიღაცეების მოლაღატურმა საქციელმაც). იანუკოვიჩი გავიდა თუ არა არჩევნების მეორე ტურში, როგორც “ილორის” წინა ნომერში, გერმანიაში მყოფი ჩვენი თანამემამულე, ბატონი დავით შოთაძე აღნიშნავდა, გაზეთმა “ეკიონის ქრონიკაშ” ერთი კაი-ვიში აიტხა და საჯაროდ მოულოდნელად ხალხს ის, რომ, თურმე, უკრაინელი პოლიტიკური მოღვაწე ვიქტორ იანუკოვიჩი ელჯარდ შევარდნაძის უკანონო შვილიაო. მოკლედ, ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო არჩეული უკრაინის პრეზიდენტად, ჩვენ კი დამლადავასით – ქართველების ნაბიჯგარიყო. ამის შემდეგ, როგორ შეიძლება, რომ იანუკოვიჩმა მეგობრული ურთიერთობები გააგრძელოს იმ ქვეყანასთან, სადაც მას ნაბიჯგარად და უკანონოდ შობილად მიინევენ. თავის დროზე ხომ ძვირად დაგვიჯდა იმის საჯაროდ გაცხადება, რომ პუტინი მეტეხელი უპატრონო ემაწვილი იყო...
მთელმა მსოფლიომ ძალიან კარგად იცის, რომ ქალბატონი იუღია ტიმოშენკო ეროვნებით სომეხია (დედა ეთნიკური ებრაელი ჰყავს, მამა კი ეთნიკური სომეხი და ზუსტად ისეთი ეთნიკური კონგლომერატია, როგორც ცხონებული ზურაბ ჟვანია იყო). მაგრამ სომხებს კინტი არასოდეს დაუფერიათ ამის თაობაზე, რათა საკმაოდ ნაციონალისტური სულისკვეთების მქონე უკრაინაში მისი პოლიტიკური წინსვლისათვის ბარიერები არ შეექმნათ. სომხებს ურჩვეწიანთ, უწუმრალ აკამიონ სომხური საქმე (თუნდაც ისე, როგორც სტალინის სიკვდილის შემდეგ ამას ანანატას მიწონიანი აკამიონდა, რაღბან მას სხვა საზრუნავში არასოდეს ჰქონია, სტალინის მმართველობის შამს კი სომხური საქმის კმთმებას ვერ გმავდა).
ერთი რამ ნამდვილად მშურს სომხების. ზურაბ ჟვანიამ თავისი “თანამემამულე” მიხილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოაჩინა (ან იქაურმა მდიდარმა სომხებმა “აღმოაჩინეს”) და გზა გაუკვალა ქართულ პოლიტიკაში (სხვათა შორის, ამ სიკეთისათვის სააკაშვილის მიერ გადახდილი “მაძღობა”, რაც ჟვანიას სიცოცხლის ფასად დაუჯდა, სწორედ რომ სომხურ ბუნებში ჯდებოდა და ქართულ ხახიათან საერთო არაფერი აქვს).
რაც შეგვეხება შევარდნაძის მიერ

თავს “სომხობამხეველ” ქართველებს, იმის აზრი და ტაქტიკა კი არ გვეოფნის, რომ მეგობარი ქვეყნის ახლადარჩეულ პრეზიდენტს, მისი ნაბიჯგარად შერაცხვით, ესოდენ დიდი შეურაცხყოფა არ მივაყენოთ.
მოკლედ, ადარ ეხეიმებათ არც ამერიკელებს და არც ძალად გაამერიკებულ-გაქსუებულ ქართველ ხელისუფალთ, არც უკრაინის ხელში ჩაგდებას მსურველ სომხებს, არც მილიარდერ-ურია ჯორჯ სოროსს, რომელიც, მხოლოდ კორპორატიული ინტერესებიდან გამომდინარე, უხეად აფინანსებდა ე.წ. “ფერადრეოლუციებს” და არც საქართველოს “ეროვნულ გმირს” ჯონ მაკკენის, რომელმაც ასევე მილიარდობით ზარალი მიაყენა ამერიკის შეერთებულ შტატებს ფერადი რევოლუციების დანაშაულებრივად მხარდაჭერით. ფაქტია, რომ უკრაინის ფერადი რევოლუციის სქემიდან ამოგდებას საქართველოს სომხური ხელისუფლება ავტომატურად ჰკარგავს ფუნქციას და იმ უკრაინასაც, რომელიც ამათი უკანასკნელი მოკავშირე და თავისი საშეგლად გასაქცევი ადგილი იყო. მოკლედ, საქართველოს კისერზე შემომსხდარ უგვანო ხელისუფალთა გარშემო სადრინობელას ყულფივით იკვრება წრე, რაც იმის მომასწავებელია, რომ ბეჰინსკების, სოროსების, მაკკენების, ბუშების, იუშენკოებისა და სააკაშვილების დრო დამთავრდა და მალე, ჩვენთვის სრულიად უცხო და მიუღებელი გარე ძალებისაგან დათრგუნული ჩვენი ბედკრული ქვეყანაც მშვიდად ამოისუნთქებს.
განსხვავება უკრაინულ და ქართულ პოლიტიკას შორის ის გახლავთ, რომ არჩევნებში დამარცხებული იუსენკო, რომელსაც იმდენი დიდი არაფერი დაუშავებია უკრაინელი ხალხისათვის, რამდენიც მიხიელ სააკაშვილის ხელისუფლებამ დაუშავა ქართველ ხალხს, მშვიდად გააგრძელებს ცხოვრებას უკრაინაში, მაგრამ, თუ სააკაშვილის და მისი გარემოცვა საქართველოში დარჩებიან გაუყალბებელი არჩევნების უწყველად წავების შემდეგ, იოლი წარმოსადგენია, რა დღეშიაც აღმონდებიან ისინი...
უკრაინელთა სამწუხარო მაგალითზე ქართველმა ხალხმაც უკვე ისწავლა, როგორ უნდა მოექცეს არჩევნების გაყალბების მსურველებს, რაც შიშის კანკალს ჰგვრის საქართველოს მოძალადე ხელისუფლებას. ამიტომაც განაცხადა უარი, თავზე ლაფდასხმულმა საქართველოს უმადლესმა ხელისუფალმა უკრაინაში სპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე დამკვირვებელთა გაგზავნაზე.
გრძნობენ, რომ, თუ ქართველი ხალხიც უკრაინელებით აღუდგება წინ თაღლითებსა და გამყალბებლებს, ადარც საქართველოში გაუკვეთ მათ ის საარჩევნო ყალთაბანდობა, რაც უკრაინაშიც არ გაუვიდათ!
P.S. ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებამდე ერთი კვირით ადრე უკრაინის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, ბატონმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ქურნალისტებთან საუბარში განაცხადა: “არანაირი “გარდების რევოლუცია” ადარ იქნება საქართველოში, ისე, როგორც ადარ იქნება “ნარინჯისფერი რევოლუცია” უკრაინაში...”
როგორც ხედავთ, საზოგადოებისათვის თურმე იდეალურ პანაცეად არც ვარდი შეიძლება იქცეს და არც ნარინჯი, რადგან პნევიმონით დაავადებულებს ყველაზე მეტად იმის ეშინიათ, რომ მათ ამონახველს ვარდისფერი სითხე არ ამოჰყვებს, რაც სიკვდილის უგერტიურაა, ნარინჯის ფერი კი, ზოგჯერ, განავალსაც ადევს.

რ. შალამაძე,
ქართულ-უკრაინული პოლიტიკური
სასაფლაოს დირექტორი

ლაპრენტი ბერია — ქართული ბერია



ეს იყო “ქვედა შრეში” მოკალათებული პოტენციური “მეხუთე კოლონა”... მაგრამ იგი ასევე იყო მოკალათებული “მაღალ ეშელონებშიც”. ასე რომ, შინაგარეობის საქმეები ყოველგვარი ფალსიფიციციების გარეშე თავსაყრდელად ჰქონდა. მაგრამ ეყოფი, როგორც ორგანოების მუშაკი, როგორც ჩანს, სუბიექტურად ვეღარ ართმედა თავს მოძალბებულ საქმეს.

იგი, სხვათა შორის, გამოირიცხული არ არის, რომ მართლაც იქცა 1937-1938 წლების რეპრესიების უნებლიე მსხვერპლად, თუნდაც იმიტომ, რომ მხრებზე აწვა არა უბრალოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ვეგერთელა ტვირთი (ძლიერი ადმინისტრაციისათვის ეს არ უნდა იქცეს ხელების ჩამოშვების მიზეზად), არამედ მას უწევდა ფსიქოლოგიური პასუხისმგებლობის ტვირთის ზიდვა.

მას არ შეიძლება არ ცოდნოდა, რომ რეპრესიითა მასშტაბების ზრდისას, თანაც იმ პირობებში, როცა სადამსჯელო ღონისძიებებს ჰქონდათ პრევენტიული ხასიათი (აპატიმრებულნი არა მხოლოდ რეალურ, არამედ პოტენციურ დამნაშავეებსაც), გამოირიცხულია, რომ რეპრესიებში არ მოქმედებდნენ უდანაშაულო ადამიანებიც. თანაც, ისინი მიდიოდნენ არა მხოლოდ ციხეებში, არამედ ეშაფოტებზეც. ეს კი განსაკუთრებით მასიურად ხდებოდა “ქვედა ეშელონებში”. საქმე ეხებოდა არა ათასობით, არამედ ათათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანს.

გამორიცხული იყო, რომ “მაღალ ეშელონებშიც” არ ჰქონოდა ადგილი უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრების ფაქტებს, იმიტომ, პირდაპირი დოკუმენტური სამხილები არავის მიმართ არ არსებობდა და ორგანოები მეტწილად მოქმედებდნენ ეჭვიანობისა და აღაშურებელი ჩვენებების საფუძველზეც. ეს კი არ გამოირიცხავდა უსაფუძვლო ბრალდებებსა და ცრუ დასმენებს, რისთვისაც ისჯებოდა არა ცილისმწამებელი, არამედ ის, ვისაც ცილი დასწამეს.

ამასთან, ეყოფი არ ის არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ გამოძიების პროცესების გამართვა ხრწნის საგამოძიებო აპარატს. შეიძლება ადგილი არ ჰქონდა “არაადამიანური წამების” ფაქტებს, მაგრამ არც იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ეჭვიანილებზე სორცივლებოდა საკმარისად დივიდენტი ფიზიკური დაწოლა.

ასეთი რამის კანონი! ამასთან, სახსრებით სარწმუნოა, რომ ეყოფი ხელდავდა კიდევ ერთ საშინელ ფსიქოლოგიურ მომენტს – მისი ხალხი ხშირად აპატიმრებს უდანაშაულო ადამიანებს, აი, ჭეშმარიტი მტრების გამოფენაში კი ისინი გარკვეულ სისუსტეებს ამჟღავნებენ – სახსრებით ობიექტური მიზეზების გამო, როცა საკუთარი ხალხის და პირადად შენს ასეთ სისუსტეებს ხედავ და ვერ უმკლავდები, ღოთობის მეტი რაღა დაგრჩენია!

ასეა თუ ისე, იოსებ სტალინი თანდათან სულ უფრო და უფრო მიდიოდა იმ აზრამდე, რომ ეყოფის შეცვლა აუცილებელია.

მაგრამ, ვინ უნდა შეცვალოს იგი? აქ უკვე სახსრებით ბუნებრივად დგებო-

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როდანდ ჯალაღანიანი

და ლავრენტი ბერიას კანდიდატურა. სტალინი მას ძალიან კარგად იცნობდა, ჰქონდა უმწიკველი და მყარი ჩეკისტური წარსული, უბადლო საქმიანი თვისებები გამოავლინა და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ამიერკავკასიასა და საქართველოში.

რამდენიმე ვერსია არსებობს იმის თაობაზე, თუ როგორ მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება, არსებობს რამდენიმე ვერსია: გადაწყვეტა პირადად სტალინმა; ვიღაცამ გაუწია ბერიას სტალინთან რეკომენდაცია; ვიღაცამ კანდიდატა სია გაამზადა, სადაც სხვებთან ერთად ბერიას გვარიც იყო მითითებული და ა.შ.

მე არ შეუვადგები აქ მოყვანილ ვერსიასთან რომელიმე განხილვას და ამ საქმეს “ისტორიული ტრიღვრები” შექმნის მოყვარულ შემოქმედებს გადავადრებ. არც იმაზე ვიპოთხავებ, თუ პირველად ვის გაუჩნდა ბერიას მოსკოვში სამუშაოდ გადაყვანის იდეა. მაგრამ, ვეგრძობი რა კონკრეტულ ფაქტებს, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ინიციატივა თავად ბერიასგანაც არ მოდიოდა.

იგივე ზუსტი ფაქტები თავისთავად ღელაღებენ, რომ 1938 წლის აგვისტოში სტალინმა თავისი არჩევანი გააკეთა.

და ეს იყო ფრიად იღბლიანი არჩევანი. 1938 წლის აგვისტოში ბერია მოსკოვში გამოიძახეს.

მშობლიური ადგილებიდან გამგზავრებისას მას შეეძლო ყოფილიყო კმაყოფილი. მან უამრავი სიკეთე მიჰმადლა იმ მიწა-წყალს, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ახლა კი მისი მოღვაწეობის სფერო იზრდებოდა და იგი მოიცავდა არა მხოლოდ უკიდურეს საბჭოთა კავშირს, არამედ მიუღ მსოფლიოს, რადგან საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შედიოდა საგარეო დაზვერვა.

თავდაპირველად, 1938 წლის 22 აგვისტოს ბერია ეყოფის პირველ მოადგილედ დაინიშნა, 29 სექტემბერში კი ასევე გახდა სსრკ შინაგარეობის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს (სუშმს) უფროსი. ამ თანამდებობაზე მან შეცვალა როგორც შინაგარეობის პირველი მოადგილე, ასევე სუშმსს უფროსი, პრაქტიკულად ასაკით მისი თანატოლი მიხეილ პეტრეს ძე ფრინოვსკი, არა ებრაელი, როგორც ამას თავად ებრაელები ამტკიცებდნენ, არამედ წმინდა წყლის რუსი ადამიანი.

ფრინოვსკი იყო, უბრალოდ, სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს უფროსი, რადგან 1938 წლის მარტში ხელისუფლება მნიშვნელოვნად შეუმცირა სტატუსი სუშმსს. მაგრამ ბერიას დაუჩინებელი მოთხოვნით სახელმწიფო უშიშროების ეს უწყება სწრაფად იქნა აღდგენილი ძველ უფლებებში და კვლავ გადაიქცა სახელმწიფო უშიშროების მთავარ სამმართველოდ.

იგი, რა თქმა უნდა, სახსრებით მართალი იყო – საქმე მის პირად ამბიციებში კი არა, იმ უწყების ავტორიტეტსა და პრესტიჟში (უეჭველად – უფლებებშიც) გახლდათ, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა.

ფრინოვსკის სამსახურეობრივი აღზევება ჯერ კიდევ იაგოდინს დროს დაიწყო, ეყოფის დროს კი მან კიდევ უფრო განიმტკიცა მდგომარეობა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პირველი მოადგილე გახდა.

მაშინდელი ფუნქციონერები არ გამოირჩეოდნენ მთლად დალაგებული ბიოგრაფიებით, ფრინოვსკის მიერ გავლილი ცხოვრებისეული გზა კი უაღრესად “შეუხარებ” გახლდათ. წარმოშობით პენზის ოლქის ქალაქ ნაროვნატდან გახლდათ და ერთი წლით უფროსი იყო ლავრენტი ბერიასზე. მასწავლებლის ოჯახში შობილმა და აღზრდილმა სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და

1916 წელს კავალერიაში ჩაირიცხა თავისუფალ მოსამსახურედ.

ამავე წლის აგვისტოში დეზერტირი გახდა და ანარქისტებს მიემხრო, აქტიურად მონაწილეობდა გენერალ-მაიორ ბემის წინააღმდეგ მოწყობილ ტერორისტულ აქტში.

1917 წლის მარტიდან მუშაობდა ბუღალტრად, სექტემბერში კი ჩაირიცხა მოსკოვის სამონინის რაიონის წითელ გვარდიაში, ნოემბერში მონაწილეობდა კრემლის შტურმში, სადაც მიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთლების შემდეგ, 1918 წლის ივლისში იყო ხოლნისკის საავადმყოფოს მთავარი მეთვალყურის თანამშემვე. ასეთ “მშვიდ” თანამდებობებზე იმყოფებოდა მანამ, სანამ საბოლოოდ არ გამოჯანმრთელდა, რადგან მალე იგი პირველი ცხენოსანი არმიის მეტროლად მოგვევლინა, სადაც ესკადრონის მეთაურად დააწინაურეს.

1919 წელს მიხეილ ფრინოვსკი სამუშაოდ სსრკ საგანგებო კომისიაში (ჩკე) გადაიყვანეს. მალე იგი ინიშნება მოსკოვის ჩეკას-ს განსაკუთრებული განყოფილების აქტიური ნაწილის უფროსის თანამშემვედ. შემდეგ იყო ოპერაციები: ანარქისტებისა და დაუმორჩილებელთა განადგურება უკრაინაში, სამსახური სამხრეთ ფრონტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილებაში, კვლავ პირველი ცხენოსანთა არმია, სრულიად უკრაინის ჩეკას ოპერაციული რაზმი...

1930 წლის სექტემბრამდე – ფელიქს ძერჟინსკის სახელობის განსაკუთრებული დანიშნულების მქონე დივიზიის მეთაური და კომისარი, 1933 წლის ზაფხულში კი აზერბაიჯანის პოლიტსამმართველოს უფროსი, იქიდან დააწინაურეს სსრკ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს სასახლედო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსად.

აზერბაიჯანში მუშაობისას ფრინოვსკი არ შეიძლება შეხებაში არ მოსულიყო სსრკ პოლიტიკურის სრულფუნქციონარ წარმომადგენელთა ამიერკავკასიაში, მოგვიანებით კი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივანთან ლავრენტი ბერიასთან. ბერია კი იყო არა მხოლოდ გამომცდილი, არამედ გამოჩენილი ფსიქოლოგი და ბუნებრივია, რომ იგი ფრინოვსკის “გაშიფრავდა” ფეხის თითებიდან კინკრისომდე.

საერთაშორისო ლიტერატურაში ფრინოვსკი წარმოდგენილია, როგორც საშინელი მხეცი, თანაც, როგორც უმეცარი მხეცი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი რამ გამოირიცხულია. ფიზიკურად იგი ნამდვილი გოლიათი იყო – მაღალი, ფართოდ გაშლილი მხრებით, სახეზე გრძელი ნაირრევათი. უმეცარი კი, იგი – მასწავლებლის ოჯახში აღზრდილი, არ შეიძლება ყოფილიყო, რადგან სასულიერო სასწავლებელი, მაშინ, საკმარის მაღალ განათლებას აძლევდა მოსწავლეებს. ამასთან, მიხეილ ფრინოვსკიმ 1927 წელს დაამთავრა ფრუნჟეს სახელობის სამხედრო აკადემიისთან არსებული მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებელი კურსები, სადაც სწავლება ასევე მაღალ დონეზე მიმდინარეობდა.

გვსიქოლოგიურად კი, ფრინოვსკი... აი, ფრინოვსკი ფსიქოლოგიურად იგი ნამდვილად იყო ადამიანი, რომელსაც ზომიერად გაანდნა წინდახედულებაც და რისკზე წასვლის უნარიც. იგი ასპროცენტური მემოარი გახლდათ. როგორც მეგობარი, იგი შეუცვლელი იყო, როგორც მტერი – უაღრესად ლაშიში, და ის, რომ მასში ზოგჯერ

იფეთქებდა ხოლმე ავანტიურის მისი დაუოკებელი წყურვილი, კიდევ უფრო საშიშს ხდიდა მას.

საცნობარო ლიტერატურაში ასევე ხშირად გაკრთება ხოლმე აზრი იმის თაობაზე, რომ ფრინოვსკიმ ჩეკის ქვეშ ამოიდო უმეცარი ეყოფი და თავის ჭკუაზე აყალბებდა და ატრიალებდა საქმეებს საკავშირო შინაგარეობაში.

ეფიქრობ, რომ ეს ასე არ იყო. არა, მე არც იმას ვამტკიცებ, რომ მთავარ პოლიტსამმართველოსა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში “საქმეები” არ ყალბდებოდა (სამწუხაროდ, ყოველ დიდ საქმეს გაანია “საკუთარი” გამონაკლისები). მაგრამ, თუ საქმეების გაყალბებასთან გვაქვს საქმე-ისიც უნდა ვთქვათ, რომ ისინი ყალბდებოდა მხოლოდ პერიფერიებში და არა ცენტრალურ აპარატში. თუმცა, იყო გამონაკლისის, სწორედ პერიფერიებში...

ამაში რომ დავრწმუნდეთ, კვლავ 1933 წელს უნდა დავუბრუნდეთ.

საკავშირო პოლიტსამმართველოს წარმომადგენელი ბელორუსიაში ლეონიდ ზაკოვსკი (იგივე – ლატვიელი პენზის შტუბისი) 1933 წლის ოქტომბერში მოსკოვში, იაკობ აგრანოვის შემდეგ შეინარსის დეპუტატს უგზავნის:

“4 ოქტომბერი 1933 წელი. № 50665 სრულიად საიდუმლოდ

მოგილიოვი გაგამოაპარებოდა პოლიტსამმართველოს ორგანიზაციის (პსო) ფილიალი და ამჟამად მიმდინარეობს მისი ლიკვიდაცია. ორგანიზაციის წევრთა აღიარებების შედეგად გამოვლენილია 1931 წელს პარტიის რიგებიდან გაირიცხნენ დეპოს ზეინკალი რეუტი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ბელოგლოვსკოპოვის დები, ასევე გამოვლენილია ორგანიზაციის 30 წევრი, რომლებიც პსოს წევრები გადნენ პოლიტსამმართველი ქსენის იაროშვილის პროპაგანდითა და რეკომენდაციით.

ქლობინში ასევე ფარულად მოქმედებს პსოს ფილიალი, რომელიც ქსენმა იაროშვიტმა ჩამოაყალიბა. ორგანიზაციის დააპატიმრებულმა წევრებმა ბატონობით და კუჩინსკიმ აღიარეს, რომ სისტემატურად აწვდიდნენ იაროშვიტის ცნობებს ქლობინის კვანძისა და აქ განლაგებული სამხედრო ნაწილების თაობაზე.

ოსიპოვის რაიონში გაგამოაპარებოდა პსოს ფილიალი და ამჟამად მიმდინარეობს მისი ლიკვიდაცია, რომელიც ჩამოაყალიბა ქსენმა მუსტიკისმა. მისმა დააპატიმრებულმა წევრებმა რონოვსკიმ და ბარტაშევიტმა აღიარეს, რომ ორგანიზაციის ფილიალი მოქმედებდა 1924 წლიდან...

პსოს საქმეზე გომელში დააპატიმრებულმა სესკვეიტიმა დადასტურა ამ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა. უჩენა ისიც, რომ 1929-1932 წლებში ქსენმა ანდრეკუსის დაგაგაგებით იმყოფებოდა პოლიტსამმართველით იმყოფებოდა პოლიტსამმართველი მომზადება.

1933 წლის 1 ოქტომბერს მინსკში დააკავეს 1933 წლის დასაწყისში პოლიტსამმართველი წითელი არმიის რიგებიდან ვადაზე ადრე დემობილიზებული სერჟანტი სუჩკოვი, რომელიც მე-1 საარტილერიო პოლკის მეორე დივიზიის ათუელის მეთაურად მსახურობდა. მისი აღიარებით დადგენილია სუჩკოვის თანამშრომლობა ლუნიცეცკის სადაზვერვო პლიაცუგაკში და მის მიერ მინსკში რეზიდენტურის შექმნა, რომელშიც საქმიანობდნენ მეორე საარტილერიო პოლკის ათუელის მეთაური გიორგი ტროფიმოვი და სამხედრო პლაცის ინსტრუქტორი ივანე კულიჩი. სუჩკოვმა აღიარა ჯაშუშობაში მონაწილეობა...

და ასე შემდეგ, სულ 10 პუნქტი. გაგრძელება იქნება

ბანხეთიქილვის ბიმი
უმოცურღა ჩვენს
ტერიტორიულ წყლებში

რეალიკა

მიწა იძრა ამას წინათ საქართველოში ან როგორ უძლებდა აქამდე მშვიდად ჩვენს ბობოქარ სისულელეებს?! რომელთა შორის მოყვარე მეზობლის მტრადმოკიდება, ჩვენს შორის დარჩენს უკუნურების მწვერვალია, საჯარო განცხადებისთვის კი დიპლომატიური ოვალებების სიბლანტეში მოვატკიცოთ და ვთქვათ: იმპულსური საგარეო პოლიტიკის დროებით წარუმატებლობის ნიშნების შემცველია.

ვტრიალოთ დახმულ წრეში ჩვენი თავდაჯერებულობა, როგორც სათანაშო რკინის მატარებელი და აღტაცებულებმა შიგა და შიგ ტაშიც დაეცხოთ ჩვენი წინსვლისა და გამარჯვების ნიშნად.

რაღა ჩვენზე აღსრულდა სახარების წინასწარმეტყველება – „...ბევრი პირველი უკანასკნელი იქნება, ხოლო უკანასკნელი – პირველი“ (მათ. 19,30; მარკ. 10,31).

ვისაც არ სჯერა, რომ ერთ დროს ლიდერი ქვეყანა მანანაღა სახელმწიფოდ ვიქცეოთ, გაგატაროთ: ხელისუფლების სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნის რეალური პერსპექტივა გარანტირებული აქვს.

დანარჩენებმა კი ვაღიაროთ: ახერბაიჯანთან საკმაოდ გრილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, სომხებმა, მართალია, ორდენი დაგვიდღეს კისურზე, მაგრამ, ძალიან რომ ჰგავს მახრობელა მარყუჟს, ამას რა ვუყოთ?

ახლა თურქეთთანაც გაგვივაროთ გეოპოლიტიკური დაპირისპირების ფორტზე ძალების მოსახინჯად.

ძალის გამოყენების პირობების (იგივე „პატრიოტების“) როლში საქართველო და მისი საზღვაო ძალები გამოდიან, რისი დემონსტრირებაც ახლა ხან კიდევ ერთხელ დავეინახეთ, როცა ჩვენმა სასაზღვრო კატარღებმა თურქული ტანკერი დააკავეს.

ნუ განვსჯით, კანონიერი იყო ეს დაკავება თუ არა, სად მიცურავდა და მიჰქონდა თუ არა კონტრაბანდული საქონელი... უჩვენოდაც გააჩვევინა. სხვა კუთხით შევხედოთ ამ ფაქტს.

1994 წლიდან მოყოლებული საქართველოს მესაზღვრეებმა ასამდე თურქული გემი დააკავეს, ძირითადად, – თევზსაჭერი. ყველა ეს გემი ან აუქციონზე გაიყიდა, ან ჯართად დაიჭრა. დღეისთვის დააკავებული რჩება უცხოეთის 10 გემი (მათ შორის, თურქულიც) და ეკიპაჟების 21 წევრი.

თურქეთის მხარე ადრე არ კამათობდა, რომ საქართველო – მისი პარტნიორი ქვეყანა (რომელთანაც სამაგალითო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა) მეგობარ სახელმწიფოს უკანონობას არ აკადრებდა, დარწმუნებული იყო.

მაგრამ გაიცრიცა ჩვენი ავტორიტეტი, შეიცვალა ძალთა თანაფარდობა რეგიონში. უფრო ზუსტად, სიმპათია-ანტიპათიის საკითხები და, ვერ გეტყვი, რაოდენობრიობა ხარისხობრიობაში გადაიხარდა თუ აიფხო ანკარის მოთმინების ფილა, მაგრამ ფაქტია, რომ 2009 წლის 16 აგვისტოს ტანკერ Buket-ის დაკავებას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა. გემის ეკიპაჟი 40 ათასი აშშ დოლარით დააჯარიმეს და კაპიტანს ჩვენმა სასამართლომ 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; ეკიპაჟი (13 თურქი და 4 ახერბაიჯანელი) პატიმრობაში რჩება.

ანკარის რეაქცია მისიერი იყო. მეორე დღესვე თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად არ ეთანხმება Buket-ის კაპიტანისთვის გამოტანილ განაჩენს და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ გემი ნეიტრალურ წყლებში დააკავეს... მაგრამ ამ თემას, როგორც შევთანხმდით, არ ჩავუღრმავებთ.

ამას წინათ თბილისს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ აგუროღლუ ეწვია და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის წინაშე სწორედ ეს საკითხი დააყენა.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ თბილისის ასეთი მოქმედება თურქეთს არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ პოლიტიკურადაც აზარადებს. ვის ვეჭვიმებით! ხომ ცნობილია, რომ თურქეთს დღეისთვის უძლიერესი ფლოტი ჰყავს შავი ზღვის აკვატორიაში და რეგიონული ლიდერის პრეტენზია გააჩნია?

ფაქტი, რა თქმა უნდა, ფრიად არასასიამოვნოა, მაგრამ იცით, რა არის ყველაზე მეტად დასაფიქრებელი? ვაითუ, მართალია საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტების ვარაუდი, რომ თურქეთ-საქართველოს დამოკიდებულების გაუარესება ერთგვარი შირმაა თურქეთის ინტერესის დასაფარავად... აჭარის მიმართ(!).

მართალია, ისინი ამბობენ, რომ ოფიციალური პირობის მიერ ტერიტორიული პრეტენზიების განცხადებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ თურქეთის მასშტაბში მუდმივად მუსირებს აჭარელი მუსლიმანებისა (?) და ეთნიკური ახერბაიჯანელების (?) დისკრიმინაციის თემა და არორაზროვნად ლაპარაკობენ მათი ინტერესების დაცვაზე თურქეთისა (და ახერბაიჯანის) პროტექტორატის დაწესების შესახებ საქართველოში მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში.

პრესაში იმასაც იხსენებენ, შარშანდელი აგვისტოს ომის დროს ბათუმის ნავსადგურში რეიდზე თურქეთის სადგანის გემები რომ იდგა საზღვაო ქვეითების დანაყოფებით ბორცზე.

ერთ-ერთი ვერსიით, ამ მომენტში თურქეთის ხელმძღვანელობა ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა მოსკოვთან, მაგრამ არა იმისთვის, რომ საზღვაო ქვეითებს დაეცვათ „გარდების რეგულაციის“ მონაპოვარი. სავარაუდოა, რომ ისინი აჭარაში შევიდოდნენ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის თანხმობას მიიღებდნენ.

უჭურადლებოდ არ უნდა დავტოვოთ ერთი გარემოებაც, რომელსაც მიმომხილველები განსაკუთრებულად ხაზს უსვამენ. შარშანდელი აგვისტოს შემდეგ თურქეთის მმართველ წრებთან დაახლოებული მასშტაბის საშუალებები ასეთ პროექტზე აღაპარაკდა: გამოცხადდეს საქართველო არშემდგარ სახელმწიფოდ და დაიყოს თურქეთის, რუსეთისა და ახერბაიჯანის გავლენის ზონებად...

ამის გაგონებას მერნივანა, მიწა ჩამქცოლდა და თან ჩავეტანეო, იტყვიან.

მიწა იძრა საქართველოში!

არმაზ სანებლიძე

საქართველოში მიხვალაქილვის

მერია პრესტიჟული სასაფლაოების დაბეჭდვას და ხელმწიფად ბაჭიღვას ბებმას

მერიის საკანონმდებლო ინიციატივას სასაფლაოების დაბეჭდვასთან დაკავშირებით მოსახლეობა არაერთგვაროვნად შეხვდა. ხალხში მუსირებს აზრი, რომ თბილისის მერია ამ აქტით ე. წ. პრესტიჟული ადგილების გამოთავისუფლებას იწყებს. ვინაიდან მოსახლეობა მაღალი მოსაკრებლის გადახდას ვეღარ შეძლებს, სასაფლაოს ადმინისტრაციას ცხედრების გადასვენება მოუწევს, ერთხელ გაყიდული ადგილები მეორედ გაიყიდება, თბილისის მერია კი ბიუჯეტს შეავსებს.

ამ მოსაზრებას საქართველოს ლეიბორისტული პარტიაც ეთანხმება. „თბილისის მერიას პრესტიჟულ რაიონებში მდებარე სასაფლაოების ტერიტორიების გამოყენება სურს, რის გამოც სასაფლაოებზე მაღალ მოსაკრებელს აწესებს და ხალხს აიძულებს, მიცვალებულები ნაკლებად პრესტიჟულ სასაფლაოებზე გადასვენოს“, – აცხადებენ ლეიბორისტები.

სასაფლაოების რეფორმა თავდაპირველად ვერის სასაფლაოს შეეხება. ჭირისუფლები მერიაში ხელშეკრულების გასაფორმებლად უკვე დაიბარეს. მიცვალებულების პატრონები მერიის ამ გადაწყვეტილებას არაქრისტიაწუღს უწოდებენ.

სასაფლაოების პრესტიჟულობაზე საუბარი რომ ამორალურია, ამაზე ყველა თანხმდება, მიუხედავად ამისა, თბილისში მაინც ხშირად გაიგონებთ, რომ საკმაოდ ფული გადაიხადეს და მიცვალებული პრესტიჟულ სასაფლაოზე დაკრძალეს.

ჯანელიძეების ოჯახს 8 თვის პატარა გარდაცვალდა. მიუხედავად საავადმყოფოში გაწეული დიდი ხარჯებისა, ოჯახმა გადაწყვიტა, როგორც ეს ჩვენთან ხშირად ხდება, შეიღოსთვის ყველაფერი საუკეთესო გაეკეთებინა. შუამავლის განცხადებით, კუთხის სასაფლაოზე (რომელიც დახურულია) ადგილი ძვირი ღირდა, მაგრამ „ნაცნობობით“ 500 დოლარად აყიდინებდა და ოჯახიც არ დაფიქრებულა, ისე იყიდა შვილის საფლაო „პრესტიჟულ“ ადგილას.

ალბათ, ნათელია, რომ ამ ადგილის რეალური ღირებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე გადაიხადეს, თუმცა, მისი ფასი ამ შემთხვევაში ადგილის პრესტიჟულობამ განაპირობა. არც ისაა ვინმესთვის უცნობი, რომ კუთხის სასაფლაოს დირექტორი არკადი ჭოველიძე ამ ბიზნესით საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობს და არც მისი სახლი გამოიყურება ურიგოდ.

რაც შეეხება მერიის ახალ ინიციატივას, მიცვალებულების პატრონებს კვადრატულ მეტრზე 20 ლარის გადახდა მოუწევს. როგორც ლეიბორისტები

“ყოფნა-არყოფნა“ ბაჭკაველი

აცხადებენ, ამ გადასახადის დაწესების მიზანი ის არის, რომ მოსახლეობამ ვერ გადაიხადოს, რის შემდეგაც მიცვალებულებს გადაასვენებენ, ხოლო დარჩენილ ტერიტორიებს გაყიდონ. დაწესდება დასუფთავების მოსაკრებელიც. ამ პაკეტს მოსახლეობას შპს „ჰერმესი“ შესთავაზებს. ლეიბორისტები აცხადებენ, რომ „ჰერმესის“ დირექტორი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლდეს თანამდებობიდან და მერიამ ხელი აიღოს ამ ინიციატივაზე.

თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი განმარტავს, რომ „ჰერმესის“ მომსახურება ნებაყოფლობითია და მათი სერვისი იმაზე იაფია, ვიდრე ეს უჯდება მოსახლეობას კერძო მომსახურების პირობებში. ახვლედიანმა ასევე უარყო პრესტიჟული ადგილების გამოთავისუფლების მცდელობის ფაქტი და განაცხადა, რომ მსგავს სოციალურ საკითხებს ოპოზიციური პარტიები ხშირად იყენებენ რეიტინგის ასაწევად.

„არანაირი მოსაკრებელი ეს არ არის. მერიის უპირველესი მოვალეობაა, სრულყოფილი და ხარისხიანი სერვისი შეეთავაზოს მოსახლეობას. თუკი სასაფლაოების მეპატრონეებს უწევდათ დამლაგებლების კერძოდ დაქირავება და ეს უჯდებოდათ 50-100 ლარამდე, ახლა შპს „ჰერმესი“ მათ სთავაზობს გამარტივებულ და იაფ მომსახურებას – პაკეტი ეღირება 5-დან 19 ლარამდე და ეს იქნება ნებაყოფლობითი“, – აცხადებს ახვლედიანი.

ახვლედიანი იმასაც ამბობს, რომ თბილისში არასდროს დამდგარა სასაფლაოების პრესტიჟულობის და არაპრესტიჟულობის საკითხი. იგი მერიის ახალ ინიციატივას იმ გარემოებით ხსნის, რომ ვერის, ვაკის და საბურთალოს სასაფლაოები მძიმე მდგომარეობაშია.

საინტერესოა, უპირველესად, თბილისის პრესტიჟულ უბნებში განთავსებულ სასაფლაოებს რატომ ეხება ცვლილება?

ახვლედიანი მათაც ანუგეშებს, ვინც კერძოდ ემსახურებოდა სასაფლაოს ტერიტორიას. შპს „ჰერმესი“ მათ დაასაქმებს და უმუშევრობის პრობლემაც არ ექნებათ.

არადა, სასაფლაოების დამლაგებლების დასაქმების პრობლემაზე მეტად რომ მიცვალებულების პირვანდელი დაკრძალვის ადგილებზე „ყოფნა-არყოფნა“ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ, ადვილი მისახვედრია. ამ ხელისუფლებისგან რწმუნის გაცემაზეც არ უნდა გავიკვირდეს, – ისინი ხომ ყველა საქმიდან სარგებელს გამოედიან, მაგრამ სასაფლაოები და მიცვალებულები რომ ამ კატეგორიას არ უნდა მიაკუთვნონ, ავიწყდებათ ამ ბიზნესით ხელმოძობარ ადამიანებს.

მაგდა კლდიაშვილი

ჰიჯაბი მანეკენებმაც უნდა ატარონ?

ირანის პოლიციეს მალაზიებში გამოდგმული მანეკენების გარეგნობა და რჩით სადარდეგლ-მოსაწესრიგებელი. და ამისთვისაც მოიცალეს – ისლამური მორალის მცველებმა მალაზიების მეპატრონეებს ახარეს, რომ დღეის ამას იქით ქალის ტანსაცმელში გამოწეობილ ყველა მანეკენს თავზე ჰიჯაბი უნდა ეხუროს. გარდა ამისა, სასტიკად იკრძალება პალსტუხების გამოყენება, ქალის თეთრეულის გაყიდვის უფლება კი მხოლოდ ქალ გამყიდველებს რჩება. წარსულში პოლიციელებს ტანსაცმელთან დაკავშირებული თავისტიკიელები ძირითადად საფხულდობით უჩნდებოდა ხოლმე, თუმცა ქალის ვიწრო შარვალს ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად დევნიან. ვიდრე მალაზიებს დაეროდნენ, ირანის ხელისუფლება მოდელიორებსა და მოდების ჩვენებებზე გამოშვებულ მანეკენებს უტევდა. მაგალითად, გასული წლის სექტემბრიდან მოდების ჩვენების საქმეში პოდიუმების გამოყენება სასტიკად აიკრძალა, მოდლებს კი კოსმეტიკა მინიმალურად უნდა გამოეყენებინათ და ისე მოქცეულიყვნენ, რომ მაყურებლის ყურადღება ტანსაცმელიდან საკუთარ თავზე არაფრით გადაეხრილიყო. რაც შეეხება ტანსაცმელს, სპეციალური კანონის მიხედვით, ჩვენებაზე მხოლოდ იმ სამოსს წარადგენდნენ, რომელიც მთლიანად ფარავს ქალის სხეულის მოხაზულობას, არავითარი ვიწრო და მოტკეცილი. ქალის თმა, ასევე, სრულად უნდა იყოს შეფუთული. გარდა ამისა, ინსტრუქციაში ცალკე ქვეთავი ეძღვნება ჩვენებების მუსიკალურ გაფორმებას – ის მოდლებს სიარულის უდიდესი მანერისაკენ არ უნდა უბიძგებდეს.

თავად მოდების ჩვენება ირანში სულ რაღაც სამი წლის წინათ დაუშვეს. მანამდე საჩვენებელი ტანსაცმელი მხოლოდ უსულუო მანეკენებს ეცვათ და ამ ტანსაცმელში მთავარი ფერი შავი იყო. მას შემდეგ ირანში ცხოვრება წინ წავიდა და ქალებს შავის გარდა სხვა ფერის ტანსაცმლის ჩაცმის ნებაც მიეცათ, თუმცა მათი სხეული მთლიანად (თავის ჩათვლით) დაფარული უნდა იყოს ფარფარა



სამოსით, რომელიც სხეულის ყველა შტრიხს საფუცავად დააბრავს. შიშველი იდაყვის გამოჩენამ, ისევე როგორც თავსაბურავის ქვეშიდან ჩამოშლილმა თმამ, ირანში ქალს, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას – ჯარიმა ან გაროზგვა არ ასცდება.

რ. შალამბერიძე

ნიჟარაკაიების ქორა მანკა



(ეს წერილი 12 წლის წინ გამოქვეყნდა გაზეთ “სვანეთში”, მაგრამ იგი არასოდეს დაჯერდა ველადებას, რადგან ერის წინაშე დიდი დამსახურების მქონე ხალხის ცხოვრებას აღვგიწერს).

გაბრიელ ნიჟარაძის ოჯახმა, მისმა შთამომავლებმა დრმა კვალი გადატანეს სვანეთის ისტორიაში. ეს ოჯახი, რომელიც შემდგომ მესტიაში დამკვიდრდა, შეიძლება ასე ითქვას, ამ კუთხის ხუთიუბნის ერთ-ერთი კერა გახდა, მასთან უხილავი ძაფებით თითქოს მთელი სვანეთი იყო დაკავშირებული – უზუგუში აქ ეტეზა იმედს, უჭონელი – გასაკითხს, ჭირში მდგომელი – ჭირის გამზიარებელს, სწული კი საღებუნს.

კეთილი მრჩეველიც აქ ვეუღლებოდათ და კეთილი მაგალითიც, ოჯახის ქალ-რძაღნი – სიღამაზით გამორჩეულნი, მამაკაცები – ახოვანებითა და კეთილშობილებით.

ხოლო თუ ვინმეს “გარეთ” თავი მოწონება მოუნდებოდა, ამ ოჯახით იწონებდა თავს – მეზობელი მათთან მეზობლობით, მეგობარი – მათთან მეგობრობით, უბრალო ნაცნობიც კი ამ ნაცნობობით...

მთელ სვანეთსაც თითქოს ამ ოჯახის სიმამლე ამბლებდა და სიღამაზე ალამაზედა.

ტრადიციები გრძელდება...
ვათავაზობთ წერილს ნიჟარაძეთა ცნობილი დინასტიის უფროსი თათბის წარმომადგენლის გაბრიელ ნიჟარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. წერილი მოგვაწოდა მისმა შვილის შვილმა, ბატონმა გიორგი ნიჟარაძემ.

ელა ბურჩიანი

გაბრიელ (ბავშვობაში მას ზაურბეგს ეძახდნენ) სიმონის ძე ნიჟარაძე 1860 წლის 21 ოქტომბერს დაიბადა ზემო სვანეთში, ზღვის დონიდან ყველაზე მაღალ სოფელში, უშუგუში.

ამ დროს სვანეთში სკოლა არ იყო. პატარა ზაურბეგი წერა-კითხვის სასწავლებლად უშუგულიდან 30 კილომეტრის დაშორებულ სოფელ წვირიში “ფეხის კელესიაში” მიუბარებიათ, სადაც მოღვაწეობდა ბერი თეოდორე (კორძაია). სამი წელიწადი დაყო ზაურბეგმა ამ მონასტერში, შემდეგ იგი უშუგულში დაბრუნდა.

სწავლის გაგრძელების წყურვილი მაინც არ ასვენებდა პატარა ზაურბეგს. 13 წლისამ უფროს ძმასთან ერთად ქუთაისში წასვლა გადაწყვიტა. 1873 წლის მკათათვეში ზაურბეგი და გეგი გორგაშის უღელტეხილით ქუთაისისკენ გაუდგნენ გზას. ქვემო სვანეთში, სოფელ მახაში ჩასვლის შემდეგ, გეგი უმცროს ძმას მელიის ტყავი ანუქა და ძმები ერთმანეთს დაემშვიდობნენ, თავი თავიანთ გზას დაადგნენ.

მურის ხიდიდან ქუთაისამდე 6 დღის ფეხით სავალი იყო. პატარა ზაურბეგი დილაადრიან იწყებდა მგზავრობას, ღამეს გამოქვაბულებში ან სხვა უფარველ ადგილებში ათევდა, თავად ითებდა ცეცხლს, იმზადებდა საჭმელს. ასე, მეექვსე დღეს ჩაადწია ქუთაისს.

ქუთაისი პირველი ქალაქი იყო, რომელიც სვანეთიდან ჩამოსულმა პატარა ზაურბეგმა ნახა. თეოდორე ბერისგან სვანეთში ხშირად სმენოდა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელზე, მის დაუცხრომელ მოღვაწეობაზე ხალხის სწავლა-განათლებისათვის. ამ დიდებულმა მამულიშვილმა დიდი როლი შეასრულა გაბრიელ ნიჟარაძის მომავალ ცხოვრებაში, ამიტომ ჩვენს მკითხველს შევახსენებთ ეპისკოპოს გაბრიელის შესახებ.

1869-1896 წლებში იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე 1825-1896 წლებში ცხოვრობდა. სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად იგი დიდ საერო საქმიანობასაც ეწეოდა. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი და საპატრიო წევრი. მან საკუთარი სახსრებით დაარსა რამდენიმე სახალხო სკოლა. გაბრიელ ქიქოძის სახელი საქართველოს ისტორიაში სამართლიანად შევიდა, როგორც უდიდესი მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, მოაზროვნე, პედაგოგი, ფსიქოლოგი, ერის წინაშე დამაშურალი და მისი ქვეყნის მეჭირისუფლე.

ქუთაისში ჩასულმა პატარა ზაურბეგმა ეპისკოპოსი გაბრიელის ადგილსამოყვებელი იკითხა. მას მთავრად არჩევის გორაზე მდებარე იმერეთის საეპისკოპოსოს რეზიდენციაში. პატარა სვანი უმად მიიღო ეპისკოპოსმა, გულდასმით მოუხმინა, რომ განათლების მსურველმა თუ როგორ იმოგზაურა ფეხით სვანეთიდან ქუთაისში. ეპისკოპოსს ძალიან მოეწონა მევიცხელი გონების პატარა სვანის შემართება და ყოველმხრივ დახმარება აღუქვა მას, რაც შეასრულა კიდევ. ეპისკოპოსის განკარგულებით ზაურბეგ ნიჟარაძე მიიღეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რისთვისაც შემდგომი მთელი ცხოვრება მადლიერი იყო ამ არანეულებრივი პიროვნების და დიდებული მამულიშვილის. სწორედ გაბრიელ ეპისკოპოსის სიყვარულის და პატივისცემის ნიშნად ზაურბეგი მოინათლა გაბრიელიად.

ქუთაისში სასულიერო სასწავლებელში სწავლის დროს უკვე გაბრიელ ნიჟარაძე იმყოფებოდა სასწავლებლის სრულ კმაყოფაზე, იღებდა სტიპენდიას. იგი მთელი მონდომებით და გულიანად სწავლობდა. მაღალი აკადემიური მოსწრებით დაამთავრა სასწავლებლის სრული კურსი.

სწავლის პერიოდში გაბრიელი ბევრს ფიქრობდა სვანეთზე, ოცნებობდა იქ სკოლების გახსნაზე, სადაც სვანი ბავშვები განათლებულნი აღიზრდებოდნენ. ამ მიზნით სამასწავლებლო სემინარიაში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა, დახმარება კვლავ გაბრიელ ეპისკოპოსს სთხოვა.

ეპისკოპოსმა შუამდგომლობა აღძრა ყუბანის სამასწავლებლო სემინარიაში გაბრიელ ნიჟარაძის ჩარიცხვის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა. 1879 წელს გაბრიელ ნიჟარაძემ მაღალი აკადემიური შეფასებით დაამთავრა ყუბანის სამასწავლებლო სემინარია.

აღნიშნულ სასწავლებელში გაბრიელი სწავლობდა, როგორც კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების სტიპენდიანტი. საქართველოში მრავლად იყო გავრცელებული ამ საზოგადოების სკოლები და, შესაბამისად, გაბრიელი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სვანეთში სამუშაოდ ამავე საზოგადოების სკოლაში უნდა გაეგზავნათ. მაგრამ სვანეთში იმ დროს სკოლა არ არსებობდა, ამიტომ იგი კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის სოხუმის განყოფილების ოქუმის სკოლაში გაგზავნეს მასწავლებლად.

ერთი წელი იმუშავა გაბრიელმა ოქუმის სკოლაში, საზოგადოების მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგების მიხედვით მის პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ მოღვაწეობას მაღალი შეფასება მიეცა და გაბრიელ ნიჟარაძე სოხუმის მთიელების სკოლის მასწავლებლად გადმოიყვანეს. ხოლო ოქუმის სკოლაში გამოჩენილი პედაგოგიური საქმიანობისათვის იგი დასაჩუქრეს ოცდაათი დეკტინა მიწით და განათავისუფლეს იმ ვალისგან (462 მანეთი და 62 კაპიკი), რომელიც გაბრიელ ნიჟარაძის ყუბანის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლებაზე დახარჯა “კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებამ”.

მაგრამ თავის კუთხეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის მუდმივი საზრუნავი მაინც სვანეთში სკოლის გახსნის საქმე იყო, რის შესახებაც მან შუამდგომლობა გასწია კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების წინაშე. საზოგადოებამ განიხილა და საჭიროდ სცნა სვანეთში სკოლების დაარსება. როგორც იქნა, აღსრულდა გაბრიელის სანუკვარი ოცნება. 1890 წელს სვანეთში ჩავიდნენ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-მაიორი გროსმანი და განათლების საოლქო ინსპექტორი შენგერი. ისინი გაეცნენ სვანეთის ყოფას, სვანეთის ცხოვრების პირობებს, რის შემდეგაც ამ საკითხებზე თავიანთი შეხედულებები წარადგინეს შემდგომ ორგანოებში.

1891 წელს სვანეთში – მესტიის, მულახის და იფარის თემებში გაიხსნა სკოლები. მულახის სკოლა განათლების სამინისტრომ დააარსა, ხოლო მესტიისა და იფარის სკოლები – “კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებამ”. ასევე, მათ მიერ დაფუძნდა ლენტეხის, ჩოღურის, უშუგულის, ბეჩოს, ლატალის, ეკერის, ცხუმარის, ფარის, ჩუბეხევის სკოლები, მათ შორის მულახის ქალთა სკოლა.

გაბრიელ ნიჟარაძე, როგორც ადგილობრივი მცხოვრები, ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა მშობლიურ კუთხეში სკოლების დაარსების საშეილსშილო საქმეში. იგი სვანეთში მივლინებული სასწავლო სამმართველოს ინსპექტორებთან – გროზდოვსკისა და ნოვოსიპსკისთან ერთად დაუღელვად მოქმედებდა, რათა ადგილობრივ მოსახლეობას მეტი მონაწილეობა მიეღო სვანეთში სკოლების მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების გამოყოფის, სამშენებლო მასალების მოგროვება-მოტანის, სკოლის მომსახურე პერსონალის და სხვა ტექნიკური პერსონალით უზრუნველყოფის საქმეში.

მართლაც, სოფლების ყრილობებზე, სადაც წყვეტებდა ეს საკითხები, გაბრიელ ნიჟარაძეს, როგორც განათლებულ, ავტორიტეტულ პიროვნებას მხარს უჭერდა მოსახლეობა. მათ კარგად ესმოდათ სვანეთში საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების მნიშვნელობა, რომ სვანეთს სტირდებოდა მომზარებული და განათლებული კადრები, ვინც წინ აღუდგებოდა უმეტრებსა, სისხლის აღების წესს და ა.შ. 1879 წლიდან მოყოლებული, გაბრიელ ნიჟარაძე სიცოცხლის ბოლო წუთამდე მუხღნაუხრულად აგრძელებდა თავისი ხალხისათვის საკეთილდღეო საქმიანობას.

გაბრიელ ნიჟარაძე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სვან მშოყვებს სწავლა გაეგრძელებინათ საქართველოს სხვა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მისი ძალისხმევით მრავალმა წარმატებით დაამთავრა სვანეთის სასწავლებლები და სკოლები და შემდეგში თავიანთი მოღვაწეობით დიდად წაადგნენ მშობლიურ მხარეს და ქვეყანას.

გაბრიელ ნიჟარაძე, თავისი კუთხის უდიდესი გულშემატკივარი და პატიოტი, ღირსეულ მასპინძლობას უწევდა სვანეთით დაინტერესებულ ადამიანებს, რომელთა შორის ვეროპელებიც იყვნენ. მაგალითად, კავკასიის ცნობილმა მკვლევარმა დუგლას ფრეშფილდმა (ინგლისის სამეფო ალბიური კლუბის პრეზიდენტი), 1886 წლიდან მოყოლებული, 10 წლის განმავლობაში რამდენჯერმე იმოგზაურა კავკასიაში. მისი ექსპედიცია, რომელიც 5 წევრისგან შედგებოდა, სვანეთსაც ეწვია. ამ ექსპედიციაში შედიოდა გამოჩენილი იტალიელი ფოტოგრაფი ვიტორიო სელლა. ექსპედიციის სვანეთში მოგზაურობის შესახებ მასალები დუგლას ფრეშფილდმა ორ სქელტანიან ტომად გამოაქვეყნა. ეს წიგნი მან მაღლობის წერილთან ერთად 1898 წელს გაბრიელ ნიჟარაძეს გამოუგზავნა.

გაბრიელ ნიჟარაძის სვანეთში მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილია მისი სასოფლო-სამეურნეო სფეროთი დაინტერესება. იმ დროინდელი სვანეთის მოსახლეობა ნაკლებად იცნობდა ხილსა და ბოსტნულს (განსაკუთრებით კულტურულ

ჯიშებს). გაბრიელს ბარიდან მიჰქონდა სვანეთში სხვადასხვა ხეხილის ნერგები, ბოსტნეულის თესვები და მოსახლეობაში უფასოდ არიგებდა. გაბრიელმა ჯერ თავად გააშენა პატარა ბაღი და ბოსტანი, მოსახლეობას ასწავლიდა ხეხილის გაშენების და მოვლის, ბოსტნის მოწყობის, ხილისა და ბოსტნეულის კერძებში გამოყენებას, აცნობდა მათ სამკურნალო მნიშვნელობას. გაბრიელის მიღწევები ამ დარგით იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სრულიად რუსეთის ქუთაისის და ყუბანის სასოფლო-სამეურნეო გამოყენებში მიიღო მონაწილეობა და ბრინჯაოს მედალი და პრემია დაიმსახურა. ამან შედეგიც გამოიღო, მოსახლეობამ ხელი მიჰყო ბაღების გაშენებას, ბოსტნების მოწყობას.

გაბრიელ ნიჟარაძე ცნობილია როგორც შურნალისტი. იგი სისტემატურად თანამშრომლობდა იმ დროს ამიერკავკასიაში გამომაკვლავლებულ და აკრძალულ სვანეთის ყოფაცხოვრებას. იგი წერდა მისი კუთხის სატიკვარზე, სხვადასხვა საკითხებზე საკითხებზე, უწიოდა უგზობას, უექიობას, მინიშნებდა, რომ ზამთარში გარე სამყაროს მოწყვეტილ სვანეთისათვის ექიმი და ექთან აუცილებელია. 1913 წელს თავის შვილს, გიორგი ნიჟარაძეს, ოდესის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტს წერდა, რომ 20 ქართველ სტუდენტს შორის მისი ვაჟიც დაამთავრებს უნივერსიტეტს, დაბრუნდება თავის მშობლიურ კუთხეში, სვანეთში და ისე მოემსახურება თავის ხალხს, როგორც მამამ. გაბრიელ ნიჟარაძემ უძღვნა თავისი ცხოვრება სვანეთს.

როგორც აღვნიშნეთ, გაბრიელ ნიჟარაძე თავის კორესპონდენციებში ხშირად უწიოდა უგზობას სვანეთში, ერთ-ერთ სტატიაში იგი წერს, რომ “მუშურის და ლაფტარის უღელტეხილებზე გადასვლისას სეზონურ სამუშაოებზე ბარის რაიონებში მიმავალი სვანები ხშირად იღუპებიან”. ყოველწლიურად სვანეთის გენოფონდს 18-20 ახალგაზრდა ამ გზითაც აკლდებოდა.

თავისი ცხოვრებით, შესანიშნავი ოჯახით გაბრიელ ნიჟარაძე მე-19 საუკუნის სვანეთის ერთ-ერთი ღირსეული შვილი იყო.

გაბრიელ ნიჟარაძის მეუღლე იყო მიილ ჯაფარიძე. მათ ეყოლათ 4 შვილი: ორი ქალიშვილი – ლუბა და ვერა, რომლებიც დაავადებისგან გარდაიცვალნენ 1918 წელს, ორი ვაჟი – გიორგი და კემენი – ექიმები იყვნენ. ცოცხლები აღარც ისინი არიან.


გაბრიელ ნიჟარაძე 1913 წელს გარდაიცვალა 53 წლის ასაკში, ყელის დაავადებით.

გაბრიელ ნიჟარაძე და მისი შესანიშნავი ოჯახი მაგალითი არიან იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი კუთხე, როგორ უნდა ამოუდგე მხარში მას და ემსახურო...


დღევანდელი სვანეთის ინტელიგენცია იმ პატარა სვანი მოსწავლეების პირშობა, რომელთაც პირველადწევითი სწავლა-განათლება გაბრიელ ნიჟარაძის მიერ დაფუძნებულ სკოლებში მიიღეს... თავის დროზე სანაცვლო არაფერი მოუთხოვა გაბრიელ ნიჟარაძეს თავისი კუთხისაგან...

სვანეთი ვალშია მის ხსოვნასთან. სვანეთის საზოგადოება მოვალეა გაბრიელ ნიჟარაძის სახელის უკვლავსაყოფად მისი სახელი ეწოდოს მულახის სკოლას, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწეობდა.

ზაურ ქუჩიშვილი



სამეგრელო და სვანეთი



კორნელი ბორჯომელი

ამ წინასწარ აღვთქვამ, კორნელი ბორჯომელის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მთავრის მიწვევით სამსახურად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბორჯომელის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

მე კორიანეთიდან, თავად კაცია დადონის სახლიდან, სენაკში გადმოვედი კეთილმოწყვე დეკანოზის, დავით ქიქოძის ხელში, ჩემი თარჯიმანის მამის სახელში. ჩემი გადმოსვლა კორიანეთიდან სრულდებოდა მოულოდნელად მოხდა. ჩემი სახლის პატრონი, უნდა მოგახსენოთ, მეტად საზოგადოებრივი მოხელე იყო. ერთხელ სტუმრად ჩამოვიდა ჩემთან და თავისი სახლი სრულდებით გადასხვაფერებულად რომ დაინახა, მოეწონა და მოუნდა მისი ხელში ჩაგდება, ამიტომ, რამდენსამე ხანს შემდეგ, წერილი მომწერა და მატყობინებდა – ჩემი საქმეები ისე მოეწყო, რომ იმუშავებდი ვარ კორიანეთში დაეზღუნდე ოჯახობით და ამიტომ ამ ორ კვირაში სახლი დამიცავდა. მეტი გზა არ იყო, ახალგაზრდა ცოლითურთ გადავედი სენაკში და ამ ხელად მეტად კეთილ და კარგ ოჯახში მოვხვდი. ისე გვივლიდნენ, როგორც თავისიანსა და დეიძის. ბედმა კი საშინლად დასაჯა კაცია ამ სიბოროტისათვის, ჯერ ისევე ჯვარიდან არ გამოხულიყო, ისე მისი სახლი მოლად გადაიზარდა და მოხუცს არც-კი შეეცვლა – ჩემთვის დაეწამებინა ცეცხლის მოკიდება. როცა მისმა ნათქვამმა ჩემს ყურებამდე მოაღწია, მე მ. პ. კოლუბიაკინის ვითხარი, და იმან კიდევ კაცია მოიხმო და გაუბრუნებინა ჩასამეინა. რომ ცეცხლი განგებ იყო წაქვიდებული სახლისათვის, ეს ჭკუას ახლოს იყო, და მეუფე ამბობდნენ, კაციას მისწულებების საქმედა, რათგან ესენი მტრებად ჰყავდა გადავიდებულნიო.

თავ კაცებს, მერე მოგვიხმო რაფიელ ერისთავი და მე, ძალიან გვაქო და დიდი მადლობა გვითხრა ჩვენის სამსახურისათვის. მთელის შეკრებებში წინაშე მადლობის გამოცხადებამ მეტიმეტად გვაძაბა ჩვენ და თავდაზნაურობის თვალში დიდად აგვწია და ფასი დაგვდო. ბარიეტის ოღონდაც რომ იცოდა, ვისთან, როდის და როგორ უნდა მოქცეულიყო.

როგორც ადგილობრივს ოლქის უფროსს, მე უნდა მომესხებინა მისთვის საქმეები მთხონებელთა, ახლა მასთან რომ მოვიდნენ. ისე სერიოზი საქმე არა ყოფილა, მხოლოდ მასხვის, რომ ბარიეტის თხოვნით მიმართა ერთმა ომში მოკლულ ოფიცრის ქვრივმა, ადგილობრივმა მედიკოსმა: ეს მესამე წელიწადია, პენსია არ გამომიღის. ბარიეტისკენ თავის სამკაჯვარო კანცელარიის უფროსს, ლიმანოვსკის, უბრძანა – ყოველი დღე იხმარეთ და ამ საქმეებზე და მერე მე მიმიბრუნდა და დამეკითხა:

– როგორ გგონიათ, კარგი არ იქნება, მანამდის ერთორული დახმარება რომ აღმოგვიჩინოთ? – მაგალითად, რას იტყვიო, რომ ცხადია ჩერვონეცი ცოტა ხომ არ იქნება?

თავადს მოვახსენე, რომ ეს დიდი მოწყალეობა იქნება საცოდავ ქალისათვის – მეთქი. როცა მისი სიტყვები იქვე მდგომ ქვრივს გადაეუთარგმნეთ, იქვე დაიხოქა... ჩერვონეცები მაშინათვე დაუთვალა იმავე ლიმანოვსკისკი.

ამნარიო საქციელი მეფის წარმომადგენლისა დიდს შთაბეჭდილებას სტოვებდა და დიდს ხანს იტოვებდა მეუფე ხალხს, რომლის შორისაც მეფის ნაცვალს გავლამ მოუხდებოდა ხოლმე.

კამატან ზაფხვლის ბარიეტისკენ აღმასის ბეჭედი უბოძა და ბრძანა მისი შვილები სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯზე მიეღოთ.

– აბა საქურადდებოს რას მანვენებთ თქვენს ობობში? – მითხრა ბარიეტისკემ. აქ ერთ იტალიელს, გვარად დეზიდორს, ძაფის ხართავი ქარხანა ჰქონდა, კარგად მოწყობილი, ორმოცდაათ დაზვისათვის და ორთქლით სამობრავებელი. ამ ფილატურეს ამბავი მოვახსენე და იმანაც მოისურვა მისი ნახვა.

დეზიდორს ცათაფრენა შეუდგა, ასეთი საპატიო სტუმარი რომ ეწვია. ბარიეტისკი დიდის დაკვირვებით ათვალთვლებდა ყველაფერს, გამოჰკითხა ყველაფერი დაწერილებით და წასაქებულად იტალიელსაც უბოძა ერთი ბეჭედი. დეზიდორმა სულ ფრთები შეისხა სისხარულისაგან. ქარხნის დათვალიერების შემდეგ მოახსენეს, გემი მზად გახლავსო და ისიც ჩაჯდა და ფოთისაკენ გასწია.

დიდი მთავრები პირველად მოდიოდნენ კავკასიაში; შემოდგომა აქ ყველაზე უკეთესია დროა წყლიწადში, და ეს მხარეც აქაურ შემოდგომის წყალობით სამოთხედ ქვეყნობდათ, ბუნება, მცენარეულობა, მცხ-

ოვრებთა ნაირ-ნაირობა – ყოველივე ეს მეტიმეტად მოსწონდათ, ხოლო თავადმა ბარიეტისკემ იცოდა, როგორ ეხვედებინათ მათთვის კავკასია და ან რა შინ და ღალათი მიეცა მათის მოზაურობისათვის.

ფოთში დიდებულ სტუმრების დასახვედრად გურების თავდაზნაურობა შეიკრიბა, მასთან იყო მისი სამაზრო წინამძღოლი, გვარდიის პოლკოვნიკი, თავადი ლევან გურული. ქართველი ერის ყველა შტოებს შორის ყველაზე ლამაზი მამაკაცები – გურულელებია, მეგრული ქალები გურულ ქალებზე უფრო ლამაზები არიან, მაგრამ გურული მამაკაცები ქართველ მამაკაცებში ყველაზე ლამაზად ითვლებიან. კლასიკური სწორი ნაკეთები სახისა, შავგვრემანი ცეცხლის მგრეკევი თვალები, ხუჭუჭი, სქელი თმა, მოყვანილი ტანი, არაჩვეულებრივი სიმსუბუქე და სინარნარე მიხვრა-მოხვრისა, მეტად ლამაზი და მდიდრული სამოსი, ყოველგვარ იარაღით დამშვენებული – ყოველივე ამის წყალობით გურული ვაჟაკი მეტად საუცხოვო, ორიგინალური საყურებელია. შეკრებილ თავდაზნაურობაში ასეთი ტიპები, ყოველი ასაკისა და სახისა, ბევრი ერივნენ. წინ იდგნენ მოხუცი თავადები, ლამაზად დაბრუნებულები, გული ყველას დამშვენებული ჰქონდათ ჯვარ-მენდლებით, რიციც მათ დამსახურებას მოწოდებდა. მისი უმადლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, როგორც უფროსი ორ იქ დამსწრე უაგუესტოს მძათეანი, ყველა პარტიისცემასა და მისაღმებას დებულობდა და დალაპარაკების ღირს ქმნიდა ყველას, ვისაც წარუდგებდნენ. თავდაზნაურის წინამძღოლმა წარუდგინა ყველა თავადი და აზნაურები რიგ რიგად და ვინც რუსული იცოდა, დიდ მთავარს უთარჯიშნოდა ელაპარაკებოდნენ.

თავდაზნაურების წინამძღოლი თავადი გურული იშვენიერის სიტყვით მიესალმა დიდ მთავრებს და იმის შემდეგ, როგორც უკვე ვთქვი, მისმა უმაღლესობამ იხეზა გამოლაპარაკებოდა თავდაზნაურთ. მაგრამ გურული კაცის ბუნება განსაკუთრებული თვისობისაა, ეს ბუნება გულწრფელი, ოფიციალური, თუნდაც მეტად მოწყალე და ალერსიანი ტონი არ აკმაყოფილებს, იმას უეჭველად სჭირია მეტად მხიარული, გულიანი სიცილი; უამისოდ სრული ბედნიერი არ არის. აბა როდის უნდა იყოს უფრო საჭირო ეს სიცილი, თუ არ არ წუთას და იმაზე მეტი ბედნიერება რაღა უნდა იყოს, თუ კაცმა მოახერხა და დიდი მთავრები ამ მხიარულ სიცილით გააცინა... ახლა საქმე ის გახლდათ, როგორ მიეხებრებინათ ეს? მაგრამ ეს სამხრეთში, სადაც ხალხი მეტად ემედავებოდა, აზროვნება მეტად მოძრაი აქვს, ყოველივე ეს თავისთავად ხდება, წინასწარ მოუშადადებულად, ურეკეტელოდ, ზემოთაგონებით. აი, ასეთ გუნებაზე დამდგარი ერთ-ერთი გურული მდობალის თავის დაკვირვებში წინ წადებდა.

ასე სამოცდაათ წელს იქნება მიტანებული, მაგრამ თავი ძალზე მხნედ უჭირავს, მელოტ თავს გარშემო ვერცხლისფერი ხუჭუჭი კულულები აქვს შემორიგებული, უშეველებელი უღვაშები შეაწითლად შეუღებინა, მაგრამ ჭადარაჭურთულ ბაღნებთან ამლაკი ფერი დასცემს, ესენი ვაჟაკურად გადაუგრესია იქით-აქეთ, გულზე მოხუცს ორი ჯარისკაცის წმიდა გიორგის ჯვარი ჰკიდია.

წინამძღოლმა დიდ მთავარს მოახსენა – აზნაური ბოლქვაძე გახლავსო და სიტყვიერადა უნდა მოგახსენოს თავისი სათხოვარიო.

დიდმა მთავარმა უბრძანა – შეგიძლიათ სოქან, რაც გინდათ. წინამძღოლი უთარგმნის, რადგან ბოლქვაძემ რუსული არ იცის. – ჩემო ხელმწიფეო – იწევს მოხუცი და სახეზე გულწრფელი ნაღველი ტეკობა, – საშინელი უსამართლობა მჭირს და ჩემი ერთადერთი იმედი თქვენა ბრძანდებით. რაც თავი მახსოვს, – იშვერატორს, მისის ჭირი შემეყაროს, ერთგულად და თავდაუზოგველად ვემსახურებო; სულ ბავშვი ვიყავი, მილიციამ რომ ჩავეწერე და ჩხუბში დაველოდი; ორმოც წელს წინად იუკრობა მომეცს, მასთან ტემლაკიც, მერე, როგორც შენის ბედნიერის თვალთა ხედავ, შემდეგს ლაშქრობებში ეს ორი ჯვარიც მომიტე, მერე კი... გაიყინა... – ამის თქმასზე ბოლქვაძემ როგორღაც მეტად სასაცილოდ დატკაცუნა თითები.

– ვინ იცის, რამდენჯერ წარმადგინე მილიციის პრაპორშიკობაზე... მაგრამ... – აქ ცალის ხელის გული მერეს გადაუსვა, – ჩემი საშველი არ იქნა!..

ეს სიტყვები ისე გულისწმინდით სასაცილოდ იყო ნათქვამი, სახეზე და მიხვრა-მოხვრაც იმდენი სასოწარკვეთილობა ეხატებოდა, რომ მართლაც რომ გულწრფელად გადახარხარეს დიდმა მთავრებმა, ბარიეტისკემ და ყველა დამსწრეთა.

– კარგი და რატომ არ გაძღვევენ? – ჰკითხა მოციწინარე დიდმა მთავარმა.

ბოლქვაძეს თავი სერიოზულად ეჭირა და უმეტესის კომიზმით და ნაღველით ამოიხვნეშა და დაუმატა:

– ბედი უნდა, ჩემო ხელმწიფეო, ბედო! რამდენჯერმე წარმადგინეს... იქ, სულ ხევიით, ალბათ ვინმე საიდუმლო მტერი მყავს, ჩემის ცოდვით საეგე... –

– კარგი, თქვენთვის ვიშუამდგომლებ, – უთხრა დიდმა მთავარმა, ამოიღო უბის წიგნი და უნდოდა მიხონებელის გვარი ჩაეწერნა.

მაგრამ ეს რომ ბოლქვაძემ დაინახა, მუბრუნდა წინამძღოლს თავად გურიელს და ჰკითხა:

– თუ დემერტი გწამსო, მითხარით, რა უნდა ჩასწეროს?

დიდმა მთავარმა, მეტად სწრაფი ლაპარაკით რომ გაიგონა, წინამძღოლსა ჰკითხა, რა უნდა მოხუცსაო.

– გთხოვსო, თქვენ უმაღლესობა, მისი გვარი არ ჩაიწეროსო წიგნში.

– რატომ? – ჰკითხა დიდმა მთავარმა. ბოლქვაძემ, მოლად იმედდაკარგულმა, ხელები ჩამოეშვა და როგორღაც ჩურჩულით უპასუხა:

სამჯერ ჩამწერეს სწორეთ ასეთ წიგნებში და არაფერი... სრულდებით არაფერი გამოვიდა!..

ახლა კი ისე გადახარხარა ყველამ. დიდი მთავარი ისე იცინოდა, რომ თავდავებით ცრემლებიც კი წამოასხდა, მერე მიუბრუნდა ბარიეტისკის და ჰკითხა – ხომ არ შეიძლება მოხუცის თხოვნა დაუფრთხვოდა და ვაკამყოფილოთო.

– თუ თქვენის უმაღლესობის ნება იქნება, ხელმწიფე მიპყრატორის მიერ მონიჭებულ უფლებების ძალით, შემიძლია ახლავე მივსცე პრაპორშიკობა.

– თავადო, ძალიანა გთხოვთ.

ბოლქვაძეს იქვე მისცეს პრაპორშიკობა და მის უმაღლესობის ტანისამოსის კალთას საკონცედალი მიჰგვარდა. იგი ამ წუთას ჭეშმარიტად ბედნიერი იყო და განსაკუთრებით-კი იმით, რომ უმაღლესი სტუმრები ასე გულწრფელად გაამხიარულა. მისი თანამებამუშავე ამისათვის მეტად მადლიერნი დაურჩნენ და პრაპორშიკობას ულოცავდნენ.

დიდმა მთავრებმა დამე ფოთში გათიეს და მეორე დღეს დილადრიანა გავიდნენ აქედან გემი „ეკვრემან“-ით. როცა გემში სხდებოდნენ, ნავთსადგურზე გურულეები იდგნენ და მათს შორის ახალი გამოსეკილი პრაპორშიკიც, სრულდებით ახალ კონვეტებიანი.

– აბა, რას იტყვი, ხომ კმაყოფილი ხართ ახლა? – ჰკითხა დიდმა მთავარმა.

– ოცი წლით გავახალგაზრდავდი, თქვენი უმაღლესობა, და მხოლოდ ახლა გვრძნობ, რა სასიამოვნოა პირველ საოფიცრო ხარისხის მიღება. მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ მეტად ძნელი მისაღები ყოფილა ის დალოცვილი... –

კოდორში დიდი მთავრები ეტლებში ჩასხდნენ, სადილი მარანში გაუმართეს, სადაც დახვდა და გაუმასპინძლდა სამეგრელოს თავად-აზნაურობა. აქედან ქუთაისზე გაიარეს, ტფილისში ჩავიდნენ და იქიდან ყარაიაში, სადაც მოწყობილი იყო საუცხოვო ნადირობა ჯივრნებზე. აქ თავი მოიყარა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ, მუსულმანთა ბეგებმა, მრავალმა მანდილოსნებმა ტფილისიდან. მსაგვარი ბ. მიკეშინი დიდ მთავრების ამაღლაში იყო და საგზაო ესკიზებისათვის აბა იმასა ჰქონდა აუარებელი მასალა!..

როცა კოლუბიაკინი ზუგდიდში გადავიდა, ჩვენის სამყოფელ ადგილებს შორის კარგა მანძილი გაჩნდა, არა ნაკლებ 45 ვერსისა, ამიტომ ერთმანეთის ნახვა ისე ხშირად არ შეგვეძლო, როგორც წინათ. მოლად მიმდინარე საქმეებს და მიხონებულების საჩივრების სამოსამართლო-საპოლიციო გარჩევას ვუზღებოდი და ვერც-კი ვამხნევედი, რა სწრაფად მიდიოდა დრო.

გარდაბნულ გარდასავალი, ანი უარსს მოველი...

ბედის ბორბალი ტრიალებს, ბედის წერას თავისი მსახვრალი ხელით, ღვთის კარნახით გამოჰყავს სიკვდილ-სიცოცხლის ფორმულა და როცა ესა თუ ის ადამიანი, მისი აზრით, ბედნიერების პიკზე იმყოფება, მაშინ დაატყავს ხოლომე თავზე დღეგრძელსა და რისხვას. ცაზე ვარსკვლავებისა და მნათობთა განლაგება კი წინასწარმეტყველებს მის იდუმალ ნიშანს უზენაის, რომ:

“დანიელ წინასწარმეტყველის ნათქვამს თუ გაეშვირაფო, სააკაშვილსა და ბურჯანაძეს შორის ერთ-ერთი აუცილებლად დაიდუმდება”.

თეოლოგი და ორგანიზაცია „გრადლის საბჭოს“ წევრი – გია პირველი, მასმედია სტრატეგია ინტერვიუს აძლევს და იმ დროისთვის, კოდირებული ინფორმაციის შესახებ საუბრობს, რომელიც საქართველოს თანამედროვე ყოფას უკავშირდება და რომელიც ბიბლიაში, უფრო კონკრეტულად კი დანიელის წინასწარმეტყველებაშია თავმოყრილი.

არ დაგვიპირდავთ, ძვირფასო მკითხველო, და პირდაპირ გეტყვი, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოში ბიბლიის დაფარული ტექსტების „ამსხნელთა“ თუ „გამსხნელთა“ რიცხვმა სასწაულებრივად იმატა და, აქედან გამომდინარე, მე ყოველთვის სკეპტიკურად ვუყურებდი „ბიბლიის მკვლევართა“ ხმა-მაღალ განცხადებებს, მაგრამ იმან, რაც ბატონმა გიამ ჩემთან საუბარში განაცხადა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

აი, რას ამბობს ბატონი გია პირველი:

– ქრისტე გვასწავლის, მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამანძე მევენახეო, ანუ ნოეს გენეტიკური ხაზიდან მივდივარო. ნოქალაქები ხეთშია და სენაარში – სხვაგან არსად დედამიწის ზურგზე. ქრისტეს ეკითხებიან მოწაფეები, – რა იქნება, უფალო, შენი მოსვლისა და საუკუნის აღსას-

რულის ნიშანი? რა ნიშნებს გვანახებ წმინდა მიწაზე? იესო ქრისტე პასუხობს, – შეხედეთ დანიელ წინასწარმეტყველის ნათქვამს და მაშინ აღსრულდება ყველაფერიო. ანუ, მაცხოვარი მიგვანიშნებს დანიელ წინასწარმეტყველზე. ბიბლიაში აღწერილია დანიელის წინასწარმეტყველება წმინდა მიწაზე განვითარებული მოვლენების შესახებ, რომელიც ერთი დღის, საათისა და წუთის სიზუსტით ემთხვევა საქართველოში განვითარებულ სიტუაციას. რა თქმა უნდა, დანიელ წინასწარმეტყველი საქართველოს არ ახსენებს, ვინაიდან ბიბლიასა და სახარებაში ყველაფერი დაფარულია და კოდირებული, მაგრამ გუგუნებით, რომ ბიბლიაში აღწერილი პროცესები ერთი ერთზე ემთხვევა საქართველოში განვითარებულ მოვლენებს...

– მაგალითად?..

– უფალი დანიელ წინასწარმეტყველს მიუვლენს მთავარანგელოზ გაბრიელს. დანიელი პირველად ხომ უხმენს ანგელოზს და იქ არის წინასწარმეტყველება, რომ 70-წლიანი პერიოდის შემდეგ იერუსალიმის ნანგრევებზე პირველ მთონ-ცხებულ მეფეს ავირჩევო. ჩვენს წინამძღოელში კი ეს იმას ნიშნავს, რომ 70-წლიანი კომუნისტური დიქტატურის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა ზვიად გამსახურდია, რომელიც აირჩიეს 1990 წლის 28 თებერვლიდან განდევნის 1992 წლის 6 იანვარს გამოქვინისა. 1990 წლის 28 თებერვლიდან 1992 წლის 6 იანვრამდე არის უსუსტი 434 დღე. ამ რიცხვს უსუსტი უსახელებს დანიელ წინასწარმეტყველს მთავარანგელოზი გაბრიელი და ვუხმენბა: მთონცხებული მეფე 434 დღეში მოიკვდება, მაგრამ დანაშაული არ ექნება!.. შემდეგ რა მოხდება, ეკითხება დანიელ წინასწარმეტყველი... 4 მეფე მოვა სათავეში, – პასუხობს მთავარანგელოზი. მართლაც, 1994 წლის 10 მარტს, მას შემდეგ,

რაც შევარდნაზე საქართველოში ჩამოვიდა, შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომელსაც 4 კაცი მართავდა: ელუარდ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა. წინასწარმეტყველებაში სიტყვა-სიტყვით ისიც წერია, რომ ამ 4 მეფეზე, ერთი იქნება ბოლოჟამის ანტიქრისტე, რომელიც დანარჩენ სამ მეფეს დაამხობსო. ეს იქნება მზაკარი, გახრწნილი, უსამართლო მეფეო. როგორც ვიცით, შევარდნაძემ სიგუა, კიტოვანიც და იოსელიანიც გზიდან ჩამოიშორა, ზოგი დაიჭირა, ზოგი საპატიო ტყვეობაში გამოკეტა... ამის შემდეგ რა მოხდება? – ისევ ეკითხება დანიელ წინასწარმეტყველი მთავარანგელოზ გაბრიელს, რაზე უკვ იოანე გვაძლევს თავის გამოცხადებაში პასუხს, რომლის თანახმადაც ამ ცრუ წინასწარმეტყველი მეფის პირიდან ამოვა სამი უწმინდური სული, როგორც ბაყყებიო!..

– მართლაც გასაოცარია... – ბუნებრივია, ესენი არიან კვანია, სააკაშვილი და ბურჯანაძე... ამათ ხომ არჩვენები ჩაატარეს 2004 წლის 4 იანვარს, ილია მეორის დაბადების დღეზე და იანუგურცაია მოაწვევს 2004 წლის 25 იანვარს, შევარდნაძის დაბადების დღეზე ანუ ესენი შევარდნაძის პირიდან ამოსული ლეკები არიან – სამი უწმინდური სული! ამ უწმინდური სულების შესახებ ეზრა წინასწარმეტყველი მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის: ეზრას უფალი ვუხმენბა: ეზრა, დანიელს არ განემარტა ის, რასაც შენ განემარტებ ახლა... იმ უწმინდური სულიდან გამომავალი სამი სული რომ იხილავ, ესენი არიან და რაც ბოროტება კეთდება, იმაზე უფრო ბოროტეული არიანო. ამ სამი ბოროტეული სულიდან ერთ-ერთი სარეველზე მოკვდება წამებითო!..

– ამას უფალი ვუხმენბა ეზრას?

– დიახ, აღსრულდა უკვე წერილი. ზურაბ კვანია განა წამებით არ ნიკვდა სარეველზე?.. უფალი იქ ამბობს, რომ იმ ორ

დანარჩენ უწმინდურ სულს შორის ერთი მახვილი მეორეს მოჰკლავსო!..

– ანუ, რას უნდა ველოდოთ, ბატონო გია, ან ბურჯანაძე მოაჭრის სააკაშვილს თავს, ანდა მიშა – ნონო?

– დიახ, სააკაშვილსა და ბურჯანაძეს შორის ერთ-ერთი ნამდვილად დაიღუპება. ერთი მეორის მახვილით განადგურდება, ანუ ერთის ხალხი მეორეს მოახრობს!.. ამის შემდეგ დაჯდება სამსჯავრო, წარბაქვს მათ ხელმწიფებას, რათა საბოლოოდ მოისპოს და განადგურდეს მეფობა და ხელმწიფება ბოროტებისა, ხოლო უხენაეს კრს მიეცემა სიცოცხლე და გამარჯვებო!..

– ანუ, გადავრჩებით?

– აუცილებლად!

– და ეს როდის იქნება?

– 2010 წლის 10 აპრილიდან დაიწყება იბერიის გაბრწინება!

– ესეც ბიბლიაში წერია?

– დიახ... როდემდე გასტანს გაცილებების სიბილწე წმინდა მიწაზე, – ერთი ანგელოზი ეკითხება მეორეს და ამას დანიელ წინასწარმეტყველი ხედავს. – 2.300 საღამოს და დღისა გასტანს ეს ყველაფერი და ამის შემდეგ განიწმინდება საწმინდარო! – ესმის დანიელ წინასწარმეტყველს. არჩევნების დღიდან, ანუ სააკაშვილის, კვანიას და ბურჯანაძის – სამი უწმინდური სულის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ანუ 2004 წლის 4 იანვრიდან, საბრეზიდენტო არჩევნიდან თუ გადავთვლით 2.300 დღისა და საღამოს, მივიღებთ 2010 წლის აპრილის ბოლოს, როცა ივრის გაბრწინება უნდა დაიწყოს. საერთოდ, ერთი რამ მინდა იცოდეთ: სახარება გვასწავლის, რომ არსებობს ორი იერუსალიმი – ერთი იერუსალიმი ავარი, ანუ აშუაშიდელი იერუსალიმი, ხოლო მეორე – უხენ-იერუსალიმი, ყოველთა შობელთა დედა!..

ესაუბრა დიტო ჩუბინიძე

ფარაონების პიღვ ერთი საიდუმლო ამოიხსნა

ფარაონის ცილინდრები – ეს ორი ცილინდრის ფორმის გამოხატვები სავანია, რომელიც ძველმედიკურ ტექსტებს ხელში უჭირავთ. ეგვიპტოლოგებს შორის დღემდე არ არსებობს ერთი აზრი მათი წარმოშობის შესახებ.

1976 წელს ამიერკავკასიაში რ. დობროვლესი და ვ. კოვტუნა აღმოაჩინეს უძველესი ენოქოლოგიური ხელნაწერი სახელწოდებით – „სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოება“, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას მთავარსა და მზის ცილინდრების შესახებ, რომლებიც დამზადებული იყო თუთიისა და სპილენძისაგან მათზე გარკვეული დანამატებით. უცნობი ავტორის მტკიცებით, ძველი ეგვიპტის ფარაონები და ქურუმები ფარაონთა ცილინდრებს სასიცოცხლო ძალების განმტკიცებისა და დემონების ურთიერთობის დასამყარებლად გამოიყენებდნენ.

ფარაონთა ცილინდრებს, რომლებიც უძველესი რევკატის მიხედვით შეიქმნა, მრავალი წლის განმავლობაში ფიზიკოსი ვლადიმერ კოვტუნის იკვლევდა. ამ გამოკვლევებში მონაწილეობდნენ მელინდრებს, ფიზიკოსები, ეგვიპტოლოგები, ექსტრასენსები და პარაფსიქოლოგები.

შედეგმა გააოგნა მეცნიერები. აღმოჩნდა, რომ ცილინდრებს ადამიანის ორგანიზმზე სასიკეთო ზემოქმედების ფართო სპექტრი გააჩნია. მასში შედის: გულსისხლძარღვთა, ნივრთლოვანი, სპილენძოვანი და ასომის დაავადებებისა და მათი მკურნალობის, უძველესი უდილობის, თავის ტკივილების, სტრესის მოხსნის საშუალებას; ახდენს ათეროსკლეროზის პროფილაქტიკას.

ექიმთა ერთი ნაწილის აზრით, ფარაონთა ცილინდრები წარმოადგენს ძველ ეგვიპტელ მეცნიერთა გენიის მიერ შექმნილ უნიკალურ, ფიზიოთერაპიულ ხელსაწყოს, რომელიც თავისთავად თითოეულ ადამიანს. მათმა სამკურნალო თვისებებმა, მათ შორის – მეტაბოლურებშია, გადგინოთერაპიამ და მავნიტოთერაპიამ, საშუალება მისცა ექიმბოთერაპეუტებს, რომ შეეშინებინათ ცილინდრების გამოყენების ეფექტური მეთოდიკა.

ფარაონთა ცილინდრები სასარგებლოა როგორც ზრდასრული ადამიანების, ისე ბავშვებისთვის. ისინი ადამიანის ორგანიზმში ისეთ სიტუაციას ქნის, რომლის წყალობითაც ადამიანს უადვილდება უბედურებებთან გამკლავება. ექიმ, მექოვანს, ექსპერიმენტების შედეგების თანახმად, ფარაონის ცილინდრები იცავს ორგანიზმს ცალკეული ელემენტრული ხელსაწყოების გამოხსენების შემთხვევებისგან (კომპიუტერი, ტელევიზორი, მიკროტალღური დეფები და ა.შ.).

ამიერკავკასიაში. 70-იანი წლების დასაწყისში, ეთიოპიის მიფარულმა რუსლან დობროვლესიმ მეგობარს – მეცნიერ-ფიზიკოს ვლადიმერ კოვტუნს მიუხიანა გაყვითლებული უძველესი ხელნაწერი დამანერვებელი სათაურით „სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოება“. ეგვიპტოლოგი-კავკასია, ხელნაწერში აღწერილი იყო ლევიტაციის, ნაოქლმობის, სიბრტყის, სხეულის წონის შეცვლის და სხვა საოცრებათა ტექნიკა, რაც, ალბათ, „მორწმუნე“ ფიზიკოსის მხოლოდ ლიმილს გამოიწვევდა, რომ არა განსაკუთრებული ინტერესი ძველი ეგვიპტის ისტორიისა და კულტურისადმი.

უსუსტი ტექნოლოგია ხელნაწერის ტექსტში რომაა მოცემული, ფაქტია და თანაც ფიზიკოსისათვის – საინტერესო. აღრეც დანიტრესებული იმ უცნაური საგნებით, ხელში რომ ეჭირათ ქურუმებს, მაგრამ კითხვა ღიად რჩებოდა. და აი, უცებ ყველაფერი ნათელი გახდა, თითქმის დაუჯერებლად. მთელი რიგი ექსპერიმენტების შემდეგ, კოვტუნის მაგიაზე „ააწინებ“ გამქრალი ცილინდრების დესინანტი ბრჭყვიალა ლითონების ხელში. ფიზიკოსმა აიღო ისინი და გარკვეულ ხანს ხელში ეჭირა. გაოცებულმა იგრანო, რომ ისინი რაღაც უცნაურად მოქმედებდა მასზე...

ამ მოქმედების ხასიათის გარკვევას მრავალი წელი დასჭირდა. ზოგიერთი ქანდაკების ხელში, რომელიც ძველმედიკურ კულტურულად შემოგვრჩა, ჩვენ შევნიშოდა, დანიტრის ცილინდრის ფორმის საგნები, რომელთა სახელწოდებაც ისტორიკოსებისთვის უცნობია. ეგვიპტოლოგებს ამასთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიები აქვთ: ზოგის აზრით, ესაა ან დახვეული არომატული ნაკერი, ან პაპირუსის გრანილი, ან ტუბუსები... მაგრამ საკმარისია, შეხედოთ, მაგალითად, სკულპტურულ ნამუშევარს – ფარაონ მექაურის გამოხსენებას ქალღმერთ ხატორისა და ქალღმერთ ნომასთან ერთად, რომ ეჭვი შეგვაპრებათ ამ ვერსიითა სისწორეში.

ფარაონ მექაურს მარცხენა ხელში მთვარის ცილინდრი უჭირავს; მარცხნივ, ქალღმერთ ხატორს – მარჯვენა ხელში მზის ცილინდრი; მარჯვნივ, ქალღმერთ ნომას კი – ორივე ერთად.

ხელნაწერში „სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოება“ დეტალურად აღწერილი ცილინდრების დამზადების ტექნოლოგია, მათი გამოყენების მეთოდი; განსაზღვრულია მათი დანიშნულება – ენერგოპოტენციალის გაძლიერება და ინფორმაციული კონტაქტი გონების უმაღლესი ფორმებით. ეს, დამოუკიდებელი, უფრო ლოგიკურია, თუ მხედველობაში მივიღებთ შემდეგ ფაქტებს: ძველ

ეგვიპტელთა სიცოცხლის საშუალო ასაკი დაახლოებით 25-30 წელი იყო. ამ ფონზე ზოგიერთ ქურუმთა და ფარაონთა დღევანდელი გასაოცარი: პიპი მეორემ 94 წელი იმეფა, რამზეს მეორემ დიდმა – 67 წელი, ტუტ-მოს მესამემ – 54 წელი, მსამეტი პირველმა – 51 წელი.

ისტორიულ მეცნიერებას ბევრი რამის მოთხოვნა შეუძლია ძველ ეგვიპტეზე და მინც, ჩვენთვის იდუმალბოთაა მიცული ცოდნა, მათოღები და საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქურუმებისა და ფარაონების დღევანდელ სიცოცხლეს, მათ ძლიერებს და სიბრძნეს მრავალი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის სამართავად, სოფლის მეურნეობის, ხელოვნობის, მეცნიერებისა და ხელოვნების გასავითარებლად, რომელთა ნიმუშები დღესაც დაფრთოვანებს მნახველს. უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტელი ექიმები უდიდესი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ იმდროინდელ მსოფლიოში, ამიტომ ეგვიპტის მეზობელი სახელმწიფოების მეორეები საჭიროების შემთხვევაში ცდილობდნენ მხოლოდ და მხოლოდ მათთვის მიეპოვათო.

ფარაონთა ცილინდრები, დამზადებული უძველესი ტექნოლოგიით, დიდხანს იყო საიდუმლოებით მოცული. ეს ორი დერო, ფსხე მღვარი ფიგურების ხელებში ნახლუჯული, თანაც ძლიერად, ელექტრონის მაგვარი ძალით, როცა მუშები მოჭრილია, ამ ენერგიას ხეულში უშვებენ, რათა იგი მოეღვიწვიან უნიპოლარულ კვანძებსა და ხერხემლის ტვინის სითხეს. ამდენად, ორგანიზმში ხდებია ენერგიის ასპროცენტრირებული ადგენა და 24 საათის განმავლობაში მისი შენარჩუნება.

დერო იყო ორი და ერთმანეთისგან შემაღვენლობით განსხვავებული. ერთი მკაცრად გამოხსენილი იყო მარჯვენა ხელისთვის, მეორე კი – მარცხენა ხელისთვის. ერთს ჰქონდა მზის ძალა, მეორეს – მთვარის. მთვარის დერო კატალიზატორის ფუნქციას ასრულებდა, რომელიც აძლიერებდა მზის დეროს აქტივობას. ასეთი დეროები ძალზე შორეულ წარსულშიც იყო ცნობილი, მაგრამ მათი დამზადების საიდუმლო ცოტა ვინმესთვის თუ იყო ცნობილი.

რა დანიშნულება აქვს როგორ მოქმედებს ფარაონის ცილინდრები?

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფარაონის ცილინდრების შემოქმედებას ორგანიზმში გადამკავს „მაღალ“ ენერგეტიკულ მდგომარეობაში, რა დროსაც ორგანიზმში აქტიურად მიმდინარეობს ადღენითი პროცესები. მეცნიერებს მიანიათ, რომ ეს ეფექტი პალანთოთერაპიის, მეტაბოთერაპიის, მინერალოთერაპიისა და მაგნიტოთერაპიის ერთობლივობით მიიღწევა.

პირველ რიგში, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ფარაონის ცილინდრები წარმოადგენს რეზონატორებს რაღაც განსაზღვრულ ფიზიკურ ველში. კოვტუნს, პოტენციალების განსხვავებული კონტაქტების არსებობა სპილენძს, თუთიასა და ხელის კანს შორის ორგანიზმში წარმოშობს სუსტ ელექტრონულ დენს. მეხამეც, სპილენძს თავისთავად მთელი რიგი გამაჯანსაღებელი ფუნქცია აქვს და დიდი ხანია, გამოიყენება მედიცინაში; მეოთხეც, წარმოქმნილი შემაჯგუბელი ფიზიკური ველები გამაჯანსაღებელ შემოქმედებას ახდენს ორგანიზმზე ხელის მტევნის ბიოაქტიური წერტილების საშუალებით.

ორევე, რომ, სპილენძი ხსნის რადიაციის ეფექტს კიბოთი დაავადებულთა დასხივებისას.

თუთის ზემოქმედებს პიპოფიზის, კუჭქვეშა ჯირკვლის მოქმედებაზე, ორგანიზმის პორმონული სისტემის საშუალებით არეგულირებს ნახშირწყლების, ცხიმებისა და ცილების მონაცვლეობას.

თუთის მარცხენი გამოიყენება ნერვული აშლილობის, გადაღლის, ზრდის შექერების, თავის ტკივილების, დიაბეტის, სამწვერა ნერვის ანთების, გაფანტული სკლეროზის, რადიკულიტის, გასტრიტის, კონიუნქტივიტიპის დროს.

მაგნიტები ძველ ეგვიპტეში ასოცირდებოდა „ღმერთი გორას ძვლებთან“; გამოიყენება ოსტეოხონდროზის, სპილენძის, ხსნის დაავადებების, თავის ტკივილების, გადაღლის, სტრესული მდგომარეობის სამკურნალოდ; აკლიმატიზაციისა და ამინდის მკვეთრი ცვლილების დროს ადაპტაციური ფუნქციის ამაღლებისათვის. საყოველთაადა ცნობილი დამაგნიტებელი წყლის გამოყენება დამაგნიტების თაობაზეც.

ნახშირი – მეცნარეული პროდუქტი, შეიცავს 50%-მდე მინერალს. ბრწინავე აღსორბენთა. ეგვიპტეში ნახშირს გამოიყენებდნენ „სხეულისა და სულის სიბილწის დასაწმენდად“. ფარაონის ცილინდრებს აქვს მკაცრად განსაზღვრული სიგრძე მის დამკვერთან მიმართებაში. ცილინდრების ზედაპირი სწორია და გლუვი; ცილინდრები სპეციალურად მუშავდება მთელი რიგი ტექნოლოგიური ოპერაციების დაცვით, რომელთა შორისაა როგორც თანამედროვე მეცნიერების ტრადიციული საშუალებები, ასევე – არატრადიციულიც.

მომზადდა დარეჯან ანდრიაძემ

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწყვეტს
აკადემიკოს კლიმენტი შელიას
წიგნიდან

იბერიიდან იწყება კოლხეთით,
კოლხეთშია ქართული და
მსოფლიო ცივილიზაციის
სათავე
ლეგან სანიკიძე

1996 წელს, ვლადიმერ ალფენიძემ გამოაქვეყნა ეგვიპტურ-კოლხური მოკლე ლექსიკონი. მსგავსი ლათინურ-კოლხური ლექსიკონიც გამოაქვეყნა, მხოლოდ (არა ცალკე წიგნის სახით) საგაზეთო სტატიებში. ის ამბობს, რომ "რამდენ კოლხურ-ლათინურ ლექსიკონს თანხვედრასაც აღმოვაჩინეთ", ზოგიერთ ფსევდო-ქართულს, იმის ნაცვლად, რომ უხაროდეს, სამწუხაროდ გული უსკდება.

რადგან გამოქვეყნებულია ეგვიპტურ-კოლხური ლექსიკონი, ამ ნაშრომში არ ვეხებით ეგვიპტურ და კოლხურ სიტყვათა თანადამთხვევის საკითხებს, ის ძალიან ბევრია. მხოლოდ მინდა ვთქვა: თუ რას მიგვანიშნებს ქართულად (კოლხურად) "პირამიდა"? – "პირამი", "გოპირებული", "გმაპიროუ" კოლხურ ენაზე ნიშნავს "აყვავებულს", "მოყვავილეს", "მარად ყვავილოვანს". ეგვიპტური პირამიდების დანიშნულებაც იყო "ფარაონთა უკვდავება და მათი მარადიული ყვავილობა" – მუდმივი არსებობა საიქიოში. ამაზე ხომ არ მიგვანიშნებს "პირამი", "გოპირებული", "გამაპიროუ".

და კიდევ, რამზეს II-ის დროიდან, და ამ დროიდან დიდი ხნით ადრე, კოლხეთში დამკვიდრდა სახელი (სახელწოდება) "წათე". ეგვიპტურ ენაზე "წათე" ნიშნავს ფარაონის შემდეგ ერთ-ერთ უპირველეს სახელმწიფო მოხელეს ეგვიპტის სახელმწიფოში.

კოლხეთში მეფობდა წათე პირველი (გუბაზ მეფის შემკვიდრე), იყო წათე მეორეც. ხუმთ აღნიშნული სტატიის ("ხმა ერის გასაგონად") ავტორები წერენ, რომ "ჯერ კიდევ 3300 წლის წინანდელი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში იყო საერთო-ქართველური (კოლხური) ცივილიზაცია, რომლის გაგრძელებას არავალი მოიცავდა დასავლეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიის დიდ ნაწილს, რომლის კულტურაც ვითარდებოდა საერთოქართველურ ენაზე". კარგადაა ნათქვამი. რა თქმა უნდა, "საერთო-ქართველურ ენაზე" (როცა სტრადეგობათ, აღიარებენ – კლ. შელია), "საერთოქართველურ (კოლხურ) ცივილიზაციასე", მისი გაგრძელების ვრცელ არეალზე, რომ ეს კულტურა "ვითარდებოდა საერთო-ქართველურ ენაზე", – ეს სწორია, მაგრამ, სამწუხაროდ, საერთოდ რატომ უჭირთ, თითქმის არ ცნობენ (შესაფერისად მაინც არ ცნობენ) "კოლხურ ცივილიზაციას" მაშინ, როდესაც კარგად იციან, 3300 წლის წინ რა ენაზე მეტყველებდნენ კოლხები (ამაზე ბევრი ფაქტი და ისტორიული წყარო ლაპარაკობს), რომ 3300 წლის წინანდელი ისტორია კავკასიის სივრცეში მხოლოდ კოლხეთს ხედავს; მაგრამ საქართველოს (ძველ კოლხეთს) რატომღაც უკარგავენ ვრცელ ტერიტორიებს და დიდ კულტურულ წარსულს; უძველესი საქართველოს (კოლხეთის) ტერიტორიები და ცივილიზაციის არეალი ვრცელდებოდა არა მარტო მათ მიერ ზემოთაღნიშნულ სივრცეებზე, არამედ მცირე აზიაში, წინა აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აუზში, ინდოეთში (სხვა ტერიტორიებზე არაფერს ვამბობ), რომ ძველი საქართველო (კოლხეთი) კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი იყო. ცნობილია, რომ ერავის ყოფილი პრეზიდენტის საღამო პუსეინის სასახლე ქართველთა ნასაფლაოვარზე დგას.

ქართველები (ლაზ-მეგრელები) წამყვან როლს ასრულებდნენ ძველი დროის მსოფლიო ისტორიაში, მათ დედამიწაზე პირველებმა საფუძველი ჩაუყარეს რელიგიას, კულტურას, ცივილიზაციას, კაცობრიობის წინსვლა-განვითარებას.

ხვიად გამსახურდია წიგნში "საქართველოს სულიერი მისია" (1990 წ.) წერს: "ენათმეცნიერული მონაცემებით, უწინარეს

ყოფილია, შუმერები რომ არაინდოევრო-პელები არიან და მხოლოდ ქართველური ენები ენათესავენა შუმერულ ენას დღეს-დღეობით დაამტკიცა დიდმა ქართველმა მეცნიერმა მ. წერეთელმა. ინდოევროპული ენები ამ ენებს არ ენათესავენა. პელაზგებზე პირდაპირ არის პერთოდეტესთან და სხვა ბერძენ ისტორიკოსებთან ნათქვამი, რომ ისინი იბერები იყვნენ" – ქართველები – ლაზ-მეგრელები.

აღმოსავლეთ ცივილიზაციის ანბანური კვლევის ცენტრის "შუმერის" პრეზიდენტი, ქართული ანბანის მკვლევარი ზ. ქაფიანიძე წერს: ქართულ-მეგრულ-სვანური – ეს ერთი ენის შვილები და შუმერის ენაა, რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიოს ყველა ენას, კულტურას და რელიგიას – რომ მეგრულს, სვანურს, ქართულს ერთი ფუძე აქვს, ეს სამივე ერთად არის ეს ენა, რასაც შუმერულ ენას ეახდნენ და არის დღესაც. ეს ერთი დედის შვილები – მეგრული, სვანური და ქართული – ძვირფასი შუმერული ენა, უნდა შევუნახოთ თანამედროვე და მომავალ თაობას, რომ ჩვენი ისტორია 7600 წელზე მეტი ხნისაა, საქართველოში ეს კარგად არ იციან და ისიც არ იციან, თუ რატომ არის ქართული, მეგრული, სვანური ერთი და იგივე. და რომ ძველი დაკარგული ისტორიის აღდგენას ებრძვიან და არ უნდა გაიგონ, რაშია საქმე.

ხურაბ ქაფიანიძეს გამოცემული აქვს "შუმერების ანბანი", პროფესორ თემურ მიძნუანთან ერთად. წიგნები "კაცობრიობის პირველი ანბანი შუმერულ-ქართული ასომთავრული" და "შუმერულ-ქართული პარალელები". ამ მონოგრაფიებშია და ავტორების მიერ მითითებულია აღმოჩენებმა, რატომღაც (?) ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი ყურადღება არ მიქცევს. სამაგიეროდ ზ. ქაფიანიძის და თ. მიძნუანის წიგნი გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და აპირებენ სხვა ქვეყნებში და სხვა ენებზე გამოაქვეყნონ.

პროფესორმა მიხაკო წერეთელმა პირველად მოიხსენია ებრაელი არქეოლოგი იულიუს ოპერტი (1912 წელი, "გვირგვინი"), რომელსაც სპეციალური სტატია მიუძღვნა ცნობილიმა ურუნდისტმა და მკვლევარმა ნათელა ფოფხაძემ. ი. ოპერტის სურათი და ბიოგრაფია გამოქვეყნებულია "იუდეურ ენციკლოპედიაში". ის დაიბადა გერმანიაში (გარდაიცვალა 1905 წელს), მოღვაწეობდა გერმანიასა და საფრანგეთში. საფრანგეთის მთავრობის დავალებით, არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ძველ სამხრეთ საქართველოში. სახელი კარგად გაუთქვამს. გვირდა აღვინშნოთ, რომ ქვემო მესოპოტამიის ქალაქ ერედუში (იოვლება ლურსმული დამწერლობის მესაძირკვლედ) მდებარე ღვთაება ენქის ტაძარი "ენგური" პროტოშუმერული პერიოდისაა – ინგური, ინგორი.

როგორც მკვლევარები მიუთითებენ, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის XXII-XXI საუკუნეების მიჯნაზე სემიტებთან ბრძოლის შემდეგ, მეგრულ-ლაზურების ერთი ნაწილი, ქვემო მესოპოტამიიდან გადასახლდა ხემო მესოპოტამიაში და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, დღევანდელი "ენქის" (ეა-ს, აია-ს) კულტი და ტაძარი "ინგურიც" თან "გადიტიანეს". ამ დროიდან, ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულიდან (ბერძნული წყაროებიც მიუთითებენ ამაზე) ქვეყანას ეა, აია ერქვა. მთავარ ქალაქსაც ეა, აია ეწოდებოდა. ჩანს, ქვეყნის მთავარი ქალაქი (დედაქალაქი) იყო თანამედროვე სენაკთან ახლოს მდებარე ნოქალაქევი. ასე რომ, აივლებს-ელალებს, დიდი მდინარის ნაპირზე ტაძარი აუცილთ და მდინარისათვის, ტაძრისათვის და ქვეყნისათვის სახელი "ენგური" დაუნათლებიათ.

გამოდის, რომ ღვთაება ენქის ტაძარი "ენგური" პალესტინაში, ისტორიაში პირველი ტაძარი, ქართული (მეგრულ-ლაზური) ყოფილა.

გარდა ამისა, თურქეთში, შუამდინარეთში, ხმელთაშუა ზღვის აუზში მრავალი ადგილის, ქალაქის, მდინარის, მთის, ლიტურჯურული გმირის, არქიტექტურული ძეგლის და სხვათა სახელწოდებანი ქართულია (მეგრულ-ლაზური), ადრინდელი შუმერული, ბაბილონური ძირითადი ტოპონიმაც, მათ იქ მოსვლამდე მცხოვრები ხალხისაა. მეგრელები (ანუ შუმერები

პოეტურად აზროვნებდნენ და ყველაფერს ლექსად წერდნენ (ნ. ფოფხაძე).

ამრიგად, თავდაპირველად კოლხეთს ერქვა "ენგური", "ინგური", მაგრამ როგორც მიხაკო წერეთელი მიუთითებს, ი. ოპერტმა ლურსმულ დამწერლობას შუმერული უწოდა. ქვეყნის სახელწოდება "ენგური" შეცვალა სიტყვით "შუმერი", ხოლო ქვეყნის მცხოვრებთა სახელწოდება "ენგურელი" შეცვალა სიტყვით "შუმერელი". ი. ოპერტის მიერ "შუმერად" წოდებული სახელმწიფო, – წერს ნ. ფოფხაძე, – არის სამეგრელოს სამეფო. "ენგური", "გერი" როგორც მდინარის, ისე ქვეყნის სახელწოდებაა თავდაპირველად მდინარეს რქმევია "გური" (ვახუშტი ბატონიშვილი); ლეონტი მროველის მიხედვით, "გური" ქვეყნის – დასავლეთ საქართველოს სახელწოდება ყოფილა ("ფარნავაზ მეფედ იქცა ქართლსა და ეგრუს ზედა"). ასეთია წყაროებზე დაყრდნობით მიღებული პიპოტეზა, რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი ფართოდ იხილავს. იმავე ამბობენ, რომ ოპერტმა ქვეყნის სახელწოდება "ენგური" იმიტომ შეცვალა "შუმერით", რომ ძველ სამხრეთ საქართველოდან ის უკმაყოფილო წავიდაო, მაგრამ მეცნიერს "გულისმოსვლა" ფაქტების დამახინჯების საფუძველს არ უნდა აძლედე.

მეცნიერებს დადგენილი არ ჰქონდათ შუამდინარეთში "შუმერების" მოსვლამდე ვინ ცხოვრობდა, რადგან ტოპონიმები, სახელწოდებები შუმერული არ არის (ამაზე ქვემოთაც ვეყენება საუბარი).

ამიტომ მათ მეცნიერებმა "პროტო-ეგვიპტელები" უწოდეს. ტოპონიმია არაა შუმერული. მაგალითად, ტეროსის ძველი სახელწოდება "იღრინა", ეგვიპტის – "ბურანუნი" არ არის შუმერული სახელწოდებანი. შუმერული არ არის ქალაქებიდან უძველესი ქალაქის "ერედუს" სახელწოდებაც, სადაც "ციდან" დაეშვა პირველი სამეფო ხელისუფლება. როგორც ჩანს, და როგორც მეცნიერული კვლევები ადასტურებს, "პროტოეგვიპტელების" – შუმერების მოსვლამდე იქ მეგრულ-ლაზურ ენაზე მოლაპარაკე (ზოგიერთი მკვლევარი, კერძოდ, ბადა (ნეგუსი) სოფია, მას ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხს უწოდებს) ქართველები (კოლხები) იყვნენ.

ბადა (ნეგუსი) სოფია წერს: "სანამ ე.წ. შუმერები, ე.ი. შავთავიანები მოვიდოდნენ შუამდინარეთის სამხრეთში, მანამ ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ნამდვილი შუმერები, იგივე ლაზ-მეგრელები, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი კულტურა, შავთავიანთი დემოტები თავიანთი ტაძრებით. ამ დროს შუამდინარეთის სამხრეთი დაიპყრობა დამაყრობმა ხალხმა, რომლებიც იყვნენ ე.წ. შუმერები, ანუ შავთავიანები და რომლებიც შეცდომით იწოდებიან შუმერებად".

ბადა (ნეგუსი) სოფია აღნიშნავს, რომ (როგორც ხუმთ ითქვა) მრავალი შუმერული სიტყვა, ასევე ტერმინები – დემოტების, ტაძრების, ქალაქების, მთების, მდინარეების, ლიტურჯურული გმირების, არქიტექტურული ძეგლების სახელები შუმერული ეკუთვნით მეგრულ-ლაზურ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს, ე.ი. იხსნება მეგრულ ენაზე. მაგალითად, შუმერის უდიდესი დემოტების – ანის, ენლილის, ენქის, ნანას, მარდუკის, ასევე ტაძრების – ენას, ექურის, ენგურის, ეშარას და სხვათა სახელები იხსნება მეგრულ ენაზე.

მთავარი ტაძარი იყო ღვთაება მარდუკის ტაძარი ესანგილა და სატაძრო გოდოლი ზიქურათი, რომელსაც ბაბილონის ცენტრში უზარმაზარი ტერიტორია ეკავა და რომელსაც ყოფდა მდინარე ეგვიპტის ხიდი. პეროდოტეს მიხედვით (რომელსაც მონახულეული ჰქონდა ეს ადგილები), ტაძარში, მარდუკის სამლოცველოს ქვეით ყოფილა მარდუკის ოქროს გამოსახულება, ოქროს მაგიდა ოქროს სკამით, როგორც პეროდოტეს ხალდებისაგან გაუგია, ისინი ორ ათეულზე მეტი ტონა ოქროსაგან ყოფილა დამზადებული. ბიბლიაში კარგად ცნობილი საფეხურებიანი ბაბილონის გოდოლი "ეთემენანქი", რომლის სიგანე იყო 91,5 მეტრი, სიმაღლე 90 მეტრი. ზიქურატი შეიღმართულიანი იყო, თუმცა პეროდოტეს თქმით, რვასართულიანი იყო – ის ითვლიდა მიწისქვეშა კიდევ ერთ სართულს, რომელსაც ერქვა "ტიგალუ" (მეგრული

სიტყვაა, ქართულად ნიშნავს "შემოგველ"). აქედან ჩანს, რომ მეგრული სიტყვა "ტიგალუ" წარმოშობილი ყოფილა ზიქურატის მიწისქვეშა სართულის "ტიგალუ"-ს სახელწოდებიდან. ზედა შვიდი სართული "ტიგალუსა" დაყრდნობილი და როგორც ვეფლა სახლის საძირკველი, თავის მოვალეობას ასრულებს, ზედა უღამაზეს შვიდ სართულს ეუბნება შემოგველეთ ("ტიგალუ").

აღსანიშნავია, რომ ყოველი წლის ბოლოს ბაბილონელი დემოტები იკრიბებოდნენ "აქითუ"-ს (მეგრული სიტყვაა) სასახლეში ღვთაება მარდუკის მორედ დაბადების აღნიშვნის ცერემონიაზე. მთავრის კალენდრის 354 დღეს უმატებდნენ მზის კალენდართან დასახებლობად II დღეს და დებულობდნენ 365 დღეს, რასაც ბაბილონელები დვთის ნებად ადიქამდნენ.

ურის შესაბამისადაც პირველი მეფე არის ურნამში. ურნამშიუც და ურიც შუმერული, იგივე ლაზ-მეგრული სახელებია. ასევე შუმერების ყველაზე პირველი დემოტი ნამშიუც, რომელმაც შუა (ვა და მიწა (სამყაროს მშობელი), შუმერული თავდაპირველი დემოტი და სხვა. "დაწყებული ძველი წელთაღრიცხვის VI ათასწლეულიდან ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეული ჩათვლით ქვედა მესოპოტამიისა და მის ირგვლივ ყველა საკაცობრიო მნიშვნელობის ნამოღვაწარი, – როგორც ითქვა, – რელიგია, რელიგიური ტრადიციები, დემოტების სახელების შექმნა ეკუთვნის ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხს".

ვიმთერებს, ბადა (ნეგუსი) სოფია ჩამოთვლის შუმერულ სიტყვებს, ტერმინებს, მრავალი დემოტების, ტაძრების, ქალაქების, მდინარეების და მათი შენაკადების, მთების, არქიტექტურული ძეგლების, ლიტურჯურული ნაწარმოებებისა და მათი გმირების სახელებს, რომელთა თითქმის ასი პროცენტი მეგრულ-ლაზურ ენაზე იხსნება. მკვლევარი მიუთითებს საბჭოთა მეცნიერების აზრს და აღნიშნავს:

ქვედა მესოპოტამიის სამხრეთში ბანანურ ენაზე მოსაუბრე ხალხის კვალი მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის XXV საუკუნემდე ჩანს, ხოლო ქვედა მესოპოტამიის ჩრდილოეთით, შუა ტეროსის დინებაზე დიდად ველებზე, ასევე ზავროსის მთიანეთის ველებზე ცხოვრობდნენ II ათასწლეულში და I ათასწლეულის დასაწყისში. მაგრამ ინგლისელი არქეოლოგის ლეონარდ ულის მიერ ურის მეფეთა სამარხების გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ იქ ძველი წელთაღრიცხვის XXV საუკუნის შემდეგაც ცხოვრობდნენ ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხები, ე.ი. ლაზ-მეგრელების და ურის III დინასტიის დაცემის გამო, კლოვის ნიშნად შექმნეს ლიტურჯურული ნაწარმოები "ურუში გარა" – ქართულად "ურის ტირილი" – "ურის გოდება", რომელიც მიუთითებს ბანანური ენის მატარებელი ხალხის ორმხრივი უარის არსებობაზე – "ტირილით გალობა", რომელიც დღემდე აქეთ შენარჩუნებული კოლხებს.

ურის III დინასტიის დამხობის შემდეგ, ური და მიმდებარე რაიონები მიწასთან იქნა გასწორებული ვლამელებისა და სემიტი ამორელების მოთაბარე ტომების მიერ და ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხების ნაწილი იძულებული გახდა მესოპოტამიის ჩრდილოეთისა და შავი ზღვის სანაპიროებზე გადასახლებულიყო, ეს ხალხი, რომელიც შემდეგში გახდა შუმერული ცივილიზაციის შექმნის საფუძველი.



გაზეთი "ილორი" უკვე რეგულარულად გამოდის "საქართველოს საზოგადოებრივი კულტურის" გაზეთი "ილორი" უკვე რეგულარულად გამოდის "საქართველოს საზოგადოებრივი კულტურის"

მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები "კოლო-კოლო" სანტიაგო, ჩილი

კლუბი დაარსებულია 1925 წელს, სტადიონი "კოლო-კოლო", 50.000 მაყურებელი, ჩილეს 20-გზის ჩემპიონი, რეკორდის თასის მფლობელი 1991 წელს, ლიბერტადორესის თასის მფლობელი 1991 წელს, ინტერამერიკული თასის მფლობელი 1992 წელს.

"კოლო-კოლო" (რაც ჩილეს ენაზე გარეულ კატას ნიშნავს), როგორც საფეხბურთო კლუბი, ხუთმა ინციტორმა ჩამოაყალიბა, რომელთაც უკმაყოფილოება დატოვეს საფეხბურთო კლუბი "მაგალიანესი". ეს გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელობის პრინციპულობამ განაპირობა, რაც ხელმძღვანელობის შემადგენლობაში დაპირისპირებისა და განხეთქილების მიზეზად იქცა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ეს ხუთეული არ დაეთანხმა კლუბის ხელმძღვანელობას გუნდის კაპიტნის არჩევისას. ორივე მხარის პრინციპულობამ გამოიწვია ის, რომ "ხუთეულმა" უყოყმოდ დასტოვა კლუბი, და როგორც იტყვიან, საკუთარ გზას ეწია. ჩილეს ფეხბურთს, რა თქმა უნდა, მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს წინაშე არ გაანინა ისეთი დიდი დამსახურება, როგორც აქვთ ფეხბურთის გიგანტებს ბრაზილიელებს, ურუგვაელებს ან არგენტინელებს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ "კოლო-კოლოს" შესაშური ავტორიტეტი გაანინა საკუთარ კონტინენტზე. ეს საფეხბურთო კლუბი არასოდეს არ კმაყოფილდებოდა ქვეყნის

შიგნით მიღწეული წარმატებებით. იგი საერთაშორისო დონის ტურნირების გამარჯვებაზეც იყო მოტივირებული. ასეთი მიზანსწრაფვა გუნდს შესძინა "კოლო-კოლოს" დამფუძნებელთა ხუთეულის ერთ-ერთმა წევრმა დევიდ ორელიანომ, რომელიც ადრე საფეხბურთო გუნდ "მაგალიანესის" მთავარმა გაცხლდა. მოგვიანებით ხუთეულმა "კოლო-კოლოს" საფეხბურთო გუნდის კაპიტნად სწორედ ორელიანი აირჩია. სულ ორი წელი გავიდა "კოლო-კოლოს" შექმნის დღიდან და კლუბი "გარეული კატების" კლუბის ხელმძღვანელობამ იგი საერთაშორისო მატჩების გასამართად მიავლინა ესპანეთსა და პორტუგალიაში. 1933 წელს "კოლო-კოლო" პროფესიონალთა ლიგის დამფუძნებელთა შორის იყო, რაც თავისთავად მეტყველებდა მის ავტორიტეტზე. 1941 წელს ამ გუნდმა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დანერგა საფეხბურთო კლუბებში უცხოელი მწვრთნელები მოწვევის სასარგებლო პრაქტიკა - გუნდის მწვრთნელად დაინიშნა უნგრელი ფერენც პლატკო. კიდევ მრავალი სიახლე დანერგა ამ ინციტორებმა კლუბმა სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო სამყაროში, რაც შედეგად მსოფლიო ფეხბურთმა გადაიღო. მაგალითად, 1948 წელს "კოლო-კოლოს" ინციტორებით მოეწყო სამხრეთ ამერიკის საკლუბო ტურნირი. დღეს სწორედ ამ ტურნირს განიხილავენ ლიბერტადორესის თასის გათამაშების წინამორბედ ლენისიებად. ეს გახლავთ სამხრეთ ამე-

რიკის ოფიციალური საკლუბო ჩემპიონატი, რომელიც დაკანონდა 1960 წელს და რომელმაც მნიშვნელოვნად აამაღლა სამხრეთამერიკული ფეხბურთის პროფესიული დონე. "კოლო-კოლოს" სხვა მრავალ გამარჯვებასთან ერთად კიდევ ერთი შთამბეჭდავი რეკორდი ეკუთვნის - მან ყველაზე მეტი ჯილდო მოიპოვა ჩილეს ნაციონალურ ტურნირებში. გუნდის თამაშსა და პროდუქტიულობაზე გაველენა ჩილესში მიმდინარე მძიმე პოლიტიკურმა პროცესებმაც კი ვერ იქონია - იგი მუდამ ჩვეულ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა და შესაშური მონდომებით აღწევდა გამარჯვებებს... ათწლეულების განმავლობაში გუნდმა საკუთარი ხელწერა შეუმუშავა და სტილი იმდენად დახვეწა, რომ "კოლო-კოლოს" ფეხბურთელებს დიდი სიამოვნებით იწვევენ სათამაშოდ მსოფლიოს უძლიერესი გუნდები. მართლაც ამოუწურავია ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ფანტაზია და სპორტული შესაძლე-

ბლობები. "კოლო-კოლოს" ყველაზე დიდ და შთამბეჭდავ წარმატებად ითვლება ის, რომ 1991 წელს მან დამსახურებული გამარჯვების წყალობით მოიპოვა სამხრეთ-ამერიკის კონტინენტის ერთ-ერთი ავტორიტეტული პრიზი - ლიბერტადორესის თასი. ამ ტურნირის ფინალში იგი ჯერ კიდევ 1973 წელს გავიდა, მაგრამ მაშინ მატჩი "ინდეპენდენტესთან" დათმო. მაგრამ 1991 წელს მოედანზე სულ სხვა "კოლო-კოლო" გამოვიდა, რომელმაც დამაჯერებლად დაამარცხა პარაგვაის "ოლიმპია" და ლიბერტადორესის თასს დაუწვლია. მართალია, პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში ამ გუნდების მატჩი ფრედ (0:0) დასრულდა, მაგრამ სანტიაგოში ჩილელმა ფეხბურთელებმა დამაჯერებლად დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიში 3:0, რამაც ისინი სანუკვარი თასის მფლობელებად აქცია.

გიორგი ჯალაღანია



იუმორი

სვანმა შამფურზე წამოაგო სომეხი და ცეცხლზე შეჰკიდა შეწაწკვავდა. უზის კოცონს და შამფურს ძალიან ჩქარა ატრიალებს. - რატომ ატრიალებ ასე სწრაფად, ვერე ხომ არ შეიწვება! - უთხრა მეგობარმა. - ნელა რომ დავატრიალე, ამ შობელადღმა კარტოფილი ამომიჭამა ღადარიდან... - უპასუხა სვანმა და შამფური კიდევ უფრო სწრაფად დაატრიალა.

ქუჩაში დაფიქრებულად მიმავალ სომეხს მეზობელი შეხვდა: - სეროჟ, სად მიდიხარ? - ნემსი უნდა გავიკეთო... - სად, პოლიკლინიკაში? - არა, უკანაღში...

ქუთაისი, "ტორპედოს" სტადიონი. გულშემბტივარი თავის გუნდს ამხნელებს. ვიღაცა ტრიბუნიდან უყვირის ერთ-ერთ ქუთაისელ ფეხბურთელს, რომელსაც მაშინ, მოდის შესაბამისად, თმები გრძელად ჰქონდა მოშვებული: - ბიჯო, ჯუმბერია, გეინმერი, თუ არა, ბურჭი ვეღონები ვინმეს და მოგაფსამენ...

გინეკოლოგ მამაკაცთან ქალი შევიდა ბუბუთა ბაგშით: - ექიმო, ბაგში ცუდად ჭამს! - გაიხადეთ! - უთხრა ექიმმა. ქალმა გაიხადა და ექიმი ბუბუბის ზედას შეუღდა. კარგა ხანს უზილა მეკრდი, დაიღალა და ეუბნება: - ქალბატონო, მოგიკლავთ ბაგში შიმშილით, თქვენ რამ არ გაქვთ! - აბა, თქვენა ხართ სპეციალისტი? მე რატომ უნდა მქონდეს რამე, ბაგშის დეიდა ვარ!..

სიგმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას „ეფრემ ვერდის“ წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიგმრების ახსნა და ნიელ წინასწარმეტყველის მიერ: - ძაღლის ლეკვი თუ ნახო - ძალიან კარგია; - ძაღლი ცოფიანი ნახო - მეტად ცუდი ნიშანია; - წყალი მდვრეი ნახო - ცუდია, - წმინდა - ძალიან კარგია; - წყლის ხმა გაიგონო - სხვასთან ლაპარაკი მოვივა;

- წყალი მომავალი ნახო - კეთილი რამის ნიშანია;
- წყალი აყრღლებული ნახო - ცუდი საქმე შეგემთხვეს;
- წყალობის მიღება ვინმესგან - ძალიან კარგი ნიშანია;
- წამლის სმა - უნებურად ცუდი საქმე დაგემართოს;
- წყლის იხვი ნახო, ანუ ბატი - კარგი ნიშანია;
- წოლა ლოგინში - ავადმყოფობის ნიშანია;
- წყაროს წყლის დაღევა - კეთილია;
- წიგნი დაგლეჯილი თუ გეჭიროს - ავად გახდები.

წიგნის მაღაზიებში იყიდება პროფესორ კლიმენტი შელიას მეტად საინტერესო წიგნი **კოლხეთი - ჩვენი სამყაროს კარიბჭა**. ახლახან კი წიგნის მაღაზიის დახლებზე გამოჩნდა კლიმენტი შელიას ახალი, არანაკლებ საინტერესო წიგნი **კასპოპრიოპის ისტორია**. **კოლხეთით იწყება, რომელშიც აღწერილია პრეისტორიული ხანის კოლხეთის მრავალმხრივი ფენომენი.** დაინტერესებულმა პირებმა სასწრაფოდ მიმართონ წიგნის მაღაზიებს, რადგან აღნიშნული ნაწარმოებები ბესტსელერია და მალე გაქრება წიგნების ბაზრიდან.

საქართველო და მსოფლიო

გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში! მისი ძირითადი კრედი - შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მსოფლიო სიმართლე! მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში დრმა ვლდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა... ილიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი! ეს გაზეთი მსოფლიო სერიოზულ მეითხველზეა გათვლილი - არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან! შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"!

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე	რედაქციის მისამართი: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ. №01018002930	მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: ლავით ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მისაილ გოდრიშვილი გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია	anaklia@web.de e-mail: elisabetthal@yahoo.de ჩაქალაქის განთავსება 899-57-33-22 893-51-01-71 899-34-37-27
----------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------